ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 30 ივნისი, 2021 | №117 (8646) | ფასი: 60 თეთრი

გვ.5

პოლიციამ გორში ზურაბ რიკრიკაძის მკვლელობისთვის შალვა გულიაშვილი დააკავა

გიგი უგულავა: „გავაშელიშვილი სულ რომ ჯურღმულში დაიმალოს, მაინც მოუნევს ამოსვლა“

გვ.5

„კალაძე „ოცნებასთან“ ვაჭრობს“

გვ.3

თორნიკე შარაშენიძე: „ახლა ჩვენ რომ გვესმის რაღაც სისულელეები ოპოზიციის მხრიდან, რომ სანქციებს დაადებენ ამ მოსამართლეების გამო, ეს ყველაფერი ზღაპარია“



გვ.2

„ინდური შტამი იმატებს, ხიფათის წინაშეა ქვეყანა“



ვახტანგ კალოიანი: „თუ ვაქცინაციას თავი ვერ მოაბეს, სექტემბრიდან მეოთხე ტალღა გველოდება“

„სააკაშვილის ჩამოსვლით „ოცნება“ იხეირებს“

გვ.3

დავით ჭიჭინაძე: „ზოგიერთები სამზარეულოს პოლიტიკას ვეღარ გაატარებენ“

გვ.4

„ოცნება“ ნაციონალებთან ჰარმონიულად პრის შერწყმული“

ვახტანგ მაისაია: „იარაღის უკანონო ტრანზიტზე კეზერაშვილ-მერაბიშვილის მხილებას ვაპირებდი, ამიტომ დამაპატიმრეს“

ოკუპირებულ აფხაზეთში დე ფაქტო პრეზიდენტს მორიგ ბრალდებებს უყენებენ

გვ.4

ბჟანია მხარდამჭერებს რაზმავს, ოპონენტებს კი დიალოგს სთავაზობს

ISSN 1987-9385

2 „გირჩის“ სამეფოს მეფე ჰერმან საბო იქნება

2 ალეკო ელისაშვილი: „ვერაფრით ვხვდები, რა შედეგზეა გათვლილი პრაიდის გამართვა“

5 „სამ დღეში თუ არ დაგირეკე, მკვდარი ვიქნებიო“ გლდანის ციხეში პატიმარი შიმშილობს

6 ისრაელის მთავრობამ იერუსალიმში პალესტინელთა მაღაზია დაანგრია

„ინდური შტამი იმატებს, ხიფათის წინაშეა ქვეყანა“

ვახტანგ კალოიანი: „თუ ვაქცინაციას თავი ვერ მოაბეს, სექტემბრიდან მეოთხე ტალღა გველოდება“

იაგო ნაცვლიშვილი



იმ დროს, როდესაც მთავრობამ ეკონომიკა გახსნა და კომენდანტის საათი ჯერაც არ მოხსნილა, კოვიდ 19-ის შემთხვევების რაოდენობა იმატებს. ამ დროს ვაქცინაცია შეჩერებულია და მოსახლეობას დღემდე არ აქვს მკაფიო პასუხი, როდის იქნება მასობრივი ვაქცინაცია. ამ ფონზე იმატებს ე.წ. ინდური შტამი. დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ ისიც კი გვითხრა, რომ დაახლოებით 300 შემთხვევა ტურისტების მიერ არის შემოტანილი.

რამდენად თანმიმდევრულად იქცევა ხელისუფლება, რატომ კეთდება აქცენტი ჩინურ ვაქცინაზე, რომელსაც ევროპის ბევრი ქვეყანა არ აღიარებს და ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი? – ამ და სხვა საკითხებზე „ევროპული საქართველოს“ წევრი, ჯანდაცვის სპეციალისტი **ვახტანგ კალოიანი** საუბრობს.

– ვხედავთ, რომ ე.წ. ინდური შტამი დღითი დღე იმატებს. რამდენად გვაქვს შეშფოთებისა თუ განგაშის საფუძველი?

– ვხედავთ, რომ მატებაა და, სამწუხაროდ, კიდევ მოიმატებს. სავარაუდოდ, ის გახდება დომინანტური შტამი. შესაბამისად, მისგან დაცვის ერთადერთი საშუალება ვაქცინაციაა, რაც, რა თქმა უნდა, სტრატეგიული ამბავია. მის გარეშე საკმაოდ დიდი ხიფათის ქვეშ ვიქნებით სექტემბრიდან, იმიტომ, რომ ის იქნება მთავარი შტამი და ის ხასიათდება ძალიან აქტიური გავრცელებით, რაც, რა თქმა უნდა, ხიფათს ქმნის ჩვენი მოქალაქეებისათვის.

– მეოთხე ტალღა გველოდება? ამის რისკი არსებობს?

– თუ ვაქცინაციას სახელმწიფო ვერ მოაბამს თავს, რა თქმა უნდა, გველოდება.

– ვაქცინაციასთან დაკავშირებით რაც ხდება, ეს რისი პრობლემაა?

– არაორგანიზებულობისა და თავიდან დაშვებული სტრატეგიული შეცდომების, როდესაც პარტნიორები ვერ ავირჩიეთ და მთელი ჩვენი ვაქცინაცია ჩამოვკიდეთ კოვაქსპლატფორმაზე, რომელიც საკმაოდ ბიუროკრატიულია და მისგან ვაქცინების მიღება პრობლემურია. ეს არის პრობლემის თავიდათავი. დანარჩენი ყველაფერი აქედან გამომდინარეობს.

– ფაქტია, რომ ქვეყანაში ვაქცინაცია ძალიან მძიმედ მიმდინარეობს. მხოლოდ 3%-ია აცრილი. ვისი პასუხისმგებლობაა ეს?

– მძიმედ კი არ მიმდინარეობს, არამედ ბოლო პერიოდში ვაქცინაცია საერთოდ გაჩერებულია.

– ამ ფონზე დგება თუ არა შესაბამისი პირების პასუხისმგებლობის საკითხი?

– რა თქმა უნდა. აქ მთავარი პასუხისმგებელი არის მთავრობის ხელმძღვანელი, შემდეგ მოდის ჯანდაცვის სამინისტრო და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, ასევე – საკოორდინაციო საბჭო. ესენი არიან ძირითადი პასუხისმგებლები, ვისაც უნდა უზრუნველეყო ვაქცინაციის შესაბამისი რაოდენობის შემოტანა და მისი წარმოება საქართველოში, რასაც, სამწუხაროდ, დღემდე ვერ ვხედავთ.

– თქვენი აზრით, ამ უწყებების ხელმძღვანელები უნდა გადადგნენ დაკავებული თანამდებობებიდან?

– აქ პასუხისმგებლობა უნდა აიღონ, როგორც წარუმატებელმა მენეჯერებმა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ პირველ რიგში ეს არის მთავრობის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა.

– ეს პროცესი დაიწყო გახარიას პრემიერობისას და გახარია დღეს თითქოს გაურბის პასუხისმგებლობას.

– სამწუხაროდ, არც დღევანდელ პრემიერ-მინისტრს დაუდია შედეგი. ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი, ჯანდაცვის მინისტრი, ისევ აქტიურია და ისევ იკავებს ეკატერინე ტიკარაძე მინისტრის თანამდებობას. შესაბამისად, ჯამურად არის პასუხისმგებელი მთავრობის გუნდი, უსაფრთხოების, ჯანდაცვის მიმართულებისა და საცოცხლისთვის პასუხისმგებელი ხალხი.

– გვახსოვს, რომ თავიდან არავინ იცრებოდა და არ იყო წარმოებული ანტივაქსერული კამპანია. დღეს თუ ხედავთ იმას, რომ ამ მიმართულებით შესაბამისი პიარკამპანია ჩატარდა და შედეგი ჩანს?

– ძირითადად საზოგადოების თვითშეგნების ხარჯზე ხდება ვაქცინაცია. სამწუხაროდ, საინფორმაციო კამპანია არ უწარმოებია ჯანდაცვის სამინისტროს და მთლიანად მთავრობას, ან ჩაატარა ძალიან მცირე მოცულობით, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ამ ვითარებაში მთავარი თემა არის ის, რომ მათ ვერ უზრუნველყვეს ვაქცინების შესაბამისი რაოდენობის შემოტანა.

– ამაში ჩინურსაც გულისხმობთ?

– დიახ, ჩინურსაც ვგულისხმობ. ჩინურს აქვს თავისი გამოწვევები – მაგალითად, დელტა შტამთან მიმართებით და ის ჩინური ვაქცინაც, გაიხსენეთ, როდის შემოვიდა. ეს გაკეთდა მაისიდან. მთელი ეს თვეები ჩინური ვაქცინაც კი არ გვქონდა, რომელიც, რა თქმა უნდა, დღეს მსოფლიოში საუკეთესო ნამდვილად არ არის.

– ასეთი სიუჟეტი იყო, რომ 100 დოლარის სანაცვლოდ უკეთებენ ფაიზერის ვაქცინას. არ ფიქრობთ, რომ ამაზე უნდა დაიწყოს მოკვლევა?

– ამის დამადასტურებელი ფაქტები არ ვიცი. თუ დადასტურებული ინფორმაცია არსებობს, მოკვლევა, რა თქმა უნდა, უნდა დაიწყოს, მაგრამ მე ეს ინფორმაცია არ მაქვს, ამიტომ ჩემი მხრიდან ამაზე საუბარი სპეკულაცია იქნება.

– ის მაქვს მხედველობაში, რომ, მინიმუმ, მოკვლევა ხომ უნდა დაიწყოს, რათა ან დადასტურდეს, ან გაიფანტოს ეჭვი?

– კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მსგავსი ფაქტი არ გამიგია, მაგრამ, თუკი ვინმეს აქვს რაიმე დადასტურებული ინფორმაცია, რა თქმა უნდა, ეს უნდა გაირკვეს, თუმცა მე ეს ნამდვილად არ გამიგია. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს ვაქცინების ის რაოდენობა, რომ ტურისტების აცრა შევძლოთ. ეს არ იქნებოდა ცუდი, მაგრამ არათუ ტურისტებისთვის, ჩვენი მოქალაქეებისთვისაც არ არის ვაქცინები.

– ტურისტების მიმართულებითაც ხომ არ უნდა იყოს გარკვეული შეზღუდვები? იმიტომ, რომ გამყრელიძემ დაადასტურა, კოვიდის 300-მდე შემთხვევა ტურისტებმა შემოიტანეს.

– ხელისუფლება ვალდებულია, უსაფრთხო სტრატეგია შეიმუშაოს. ეს ეხება როგორც ტურისტების უსაფრთხოდ შემოსვლას, ისე ინფექციის არგავრცელებას. ეს არის მათი პირდაპირი მოვალეობა და, არა მგონია, რომ ამ ეტაპზე ამას თავს ართმევენ.

– ჩინურ ვაქცინას არ აღიარებს ევროპის ბევრი ქვეყანა, რაც გარკვეულ კითხვებს იწვევს, რომ მაშინ რატომ აირჩია ჩვენმა ხელისუფლებამ ჩინური ვაქცინა?

– იმიტომ, რომ სხვა ვერ უზრუნველყვეს. სამწუხაროდ, ეს იყო ერთადერთი რამ, რასაც მისწვდნენ და ისიც გვიან. ამიტომაც არის, რომ ჩვენ ძირითადად ჩინურ ვაქცინაზე ვართ დამოკიდებული.

„გირჩის“ სამეფოს მეფე ჰერმან საბო იქნება

„გირჩმა“ პარტიისა და „სამეფოს თავკაცი“ ოთო ზაკალაშვილი წარადგინა. ის, ამავდროულად, „გირჩის“ საარჩევნო კამპანიის მენეჯერი და თბილისის საკრებულოს წევრობის კანდიდატიც იქნება.

პრეზენტაცია პარტიის ოფისში გაიმართა.

პარტია „გირჩი“ მომავალ არჩევნებში არ აპირებს მერობის კანდიდატის დაყენებას. მათი გეგმაა, რომ თუ ვადამდელი არჩევნები დაინიშნება, მზად იყვნენ და იბრძოლონ „გირჩის“ შენარჩუნებისა და პროგრესისთვის.

„სულ მალე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ციებცხელება დაიწყება, „გირჩისთვის“ ეს არჩევნები, ფაქტობრივად, საპარლამენტო არჩევნების ტოლფასია.

ჩვენ გვსურს ამ არჩევნებზე საკუთარი შედეგი, როგორც მინიმუმ, გავაუმჯობესოთ, რისთვისაც მაქსიმალურად დავიხარჯებით“, – აცხადებს პარტია.

„გირჩის“ სამეფოს მეფე ჰერმან საბო იქნება.

საბერძნეთში გარდაცვლილი მანანა ხეთაგურის დამსაქმებელი მისი ცხედრის კრემაციას აპირებს

საბერძნეთში გარდაცვლილი მანანა ხეთაგურის ოჯახი დახმარებას ითხოვს. ქალი ათენში გარდაიცვალა, თუმცა ოჯახი, რომელშიც ის მუშაობდა, მის გადმოსვენებაზე უარს აცხადებს და განმარტავს, რომ ცხედრის კრემაცია უნდა მოხდეს.

ქალის ოჯახი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს, კრემაციას კატეგორიულად ეწინააღმდეგება და სახელმწიფოს გადმოსვენებაში დახმარებას სთხოვს.

საბერძნეთში საქართველოს საელჩოს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ჯერჯერობით ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია, თუმცა, გარდაცვლილი ქალის ოჯახის წევრების თქმით, მიიღეს შეთავაზება, რომ მანანა ხეთაგურის ნეშტის გადმოსვენება მხოლოდ კრემაციის შემდეგ მოხდება, რასაც ოჯახი ეწინააღმდეგება.

გარდაცვლილის შვილის თქმით, ის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან დაკავშირებას მთელი დღის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა.

მანანა ხეთაგურის ცხედარი საბერძნეთში ერთ-ერთ სასტუმროში იპოვეს.

ალუდა ღუდუშაური: „სასამართლოზე მიმდინარეობს ორკესტრირებული თავდასხმა და მიზანმიმართული შტურმი“

– სასამართლოზე მიმდინარეობს ორკესტრირებული თავდასხმა და მიზანმიმართული შტურმი – ვინ თუ არა მე, რომელსაც 16-წლიანი უწყვეტი საადვოკატო პრაქტიკა მაქვს, ძალიან კარგად ვიცი, სად იყო სასამართლო, რა პროცესები გაიარა და სად არის დღეს.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ალუდა ღუდუშაურმა ჟურნალისტებთან იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომის დაწყებამდე განაცხადა, სადაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ხელშეწყობის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის საკითხს განიხილავენ.

ღუდუშაურის თქმით, კარგი იქნება, ოპოზიციის ნაწილმა და რიგმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მართლმსაჯულებისა და სასამართლოს მისამართით მომეტებული პოლიტიკური განცხადებებისგან თავი შეიკავონ.

– როცა ოპონენტები გვიკიჟინებენ, რომ სასამართლო უნდა გათავისუფლდეს, უნდა გათავისუფლდეს პირველ რიგში პოლიტიკური წნეხისგან, რომელზეც პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებ, სასამართლოზე ბოლო პერიოდში მიმდინარეობს ორკესტრირებული თავდასხმა და მიზანმიმართული შტურმი, რათა მოხდეს სასამართლოს დისკრედიტაცია. ვინ თუ არა მე, რომელსაც 16-წლიანი უწყვეტი საადვოკატო პრაქტიკა მაქვს, ძალიან კარგად ვიცი, სად იყო სასამართლო, რა პროცესები გაიარა, სად არის დღეს და ჩვენ ყველა უნდა შევთანხმდეთ და დავსვათ კითხვა, სად გვინდა, რომ იყოს, რომ გაძლიერდეს სასამართლო და არა მისი დემონიზება მოვახდინოთ. ძალიან დიდია პროგრესი სასამართლოში. „ქართულმა ოცნებამ“ სასამართლოდან გამოვიტანეთ პოლიტიკა, – განაცხადა ღუდუშაურმა.

ალუდა ღუდუშაურს გირგვლიანის საქმე შეახსენეს და ჰკითხეს, ჰქონდა თუ არა გირგვლიანის საქმის მოსამართლე ლევან მურუსიძესთან კითხვები, რაზეც ღუდუშაურმა განაცხადა, რომ „სასამართლოს ნაციონალური მოძრაობის დროს ფუნქცია ჰქონდა დაკარგული“.

– სასამართლო კვალიფიკაციის ნაწილში ვერ შედიოდა, ან უნდა გაემართლებინა, ან გაემტყუნებინა, უკვე გამტყუნებული მივიდა, ბრალი დადასტურებული ჰქონდათ ორივე ინსტანციაში, ზევით ინსტანციაში წავიდა საქმე და რა ქნა მურუსიძემ? – გაამართლა ეს ხალხი?! რაზე ვსაუბრობთ?! – განაცხადა ღუდუშაურმა.

ალეკო ელისაშვილი: „ვერაფრით ვხვდები, რა შედეგზეა გათვლილი პრაიდის გამართვა“

„მოქალაქეების“ ლიდერი ალეკო ელისაშვილი აცხადებს, რომ პრაიდის გამართვა აღვივებს სიძულვილს ლგბტ+ თემის მიმართ.

ელისაშვილის თქმით, ის ვერ ხვდება, რა შედეგზეა გათვლილი პრაიდი.

მისივე თქმით, პრაიდის მიზანი თუ ის არის, რომ ადამიანებს არ ეზიზღებოდეთ ლგბტ თემი, პირიქით ხდება.

– ვერაფრით ვერ ვხვდები, რა შედეგზეა გათვლილი პრაიდის გამართვა. პრაიდს რომ გამართავ, ამან უფრო მეტი ემპათია გააჩინოს ადამიანებში, სიძულვილი არ იყოს ლგბტ თემის წინააღმდეგ, ხომ? ყოველი პრაიდი პირიქით არის, უფრო აღვივებს სიძულვილს და ამით საშუალებას აძლევს, გამოცოცხლდნენ პრორუსული ძალები, – განაცხადა ელისაშვილმა.

ელისაშვილის თქმით, ძალოვანმა უწყებებმა უნდა უზრუნველყონ ნებისმიერი ადამიანის კონსტიტუციური უფლება.

თბილისში 5 ივნისს „თბილისი პრაიდის“ ორგანიზებით „ღირსების მარში – სოლიდარობისთვის!“ გაიმართება.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სააკაშვილის ჩამოსვლით „ოცნება“ იხეირებს“

დავით ჭიჭინაძე: „ზოგიერთები სამზარეულოს პოლიტიკას ვეღარ გაატარებენ“

ნათია ხურცილავა

„ტრიბუნას“ თავმჯდომარე, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, ოპოზიცია რამდენად არის მზად, ადგილობრივ არჩევნებზე შეთანხმებული კანდიდატებით გავიდეს?

– პირველ რიგში უნდა ჩამოვყალიბდეთ, ვინ არის ოპოზიცია. ვხედავთ, საკმაოდ შეხმატკბილებულად და კომფორტულად გრძნობენ თავს კოლეგები „ქართულ ოცნებასთან“. ზოგი საერთოდ ოპოზიციის დისკრედიტაციისთვის არის ოპოზიციონერი.

– ვის გულისხმობთ?

– იმ ადამიანებს, რომლებიც ერთობლივ წარმატებაზე საუბრობენ, რომლებიც ქვეყანაში მთავარ მიღწევად მიშელის დოკუმენტისთვის ხელმოწერას გვიცხადებენ. მე არ ვფიქრობ, რომ მიშელის დოკუმენტი ამ მნიშვნელობის არის. პოლიტიკური კრიზისი კი განმუხტა, მაგრამ, ვინც ხელი მოაწერა, მათ პრაქტიკულად „ქართულ ოცნებას“ გაყალბებული არჩევნები „გაუპრავეს“. ამნისტიის კანონპროექტი, საარჩევნო კოდექსი, მოსამართლეების საკითხი – არც ერთი ეს კანონი ამ ფორმით არ არის ქვეყნისთვის სასიკეთოდ მიღებული.

ოპოზიციაში ზოგი ისევ ტროას ცხენის როლს რომ შეასრულებს, ეს უკვე აშკარაა. ამიტომ ამ ადამიანებთან კონსულტაციების გამართვა ოპოზიციის მიზნებსა და ქართველი ხალხის ინტერესებს დააზიანებს.

– კალაძემ განაცხადა, რომ მომავალ კვირას ცნობილი გახდება, თუ ვინ იქნება თბილისში „ოცნების“ მერობის კანდიდატი. როგორც ცნობილია, კალაძეზეა საუბარი, ასევე ამბობენ, რომ ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი ლევან ხაბეიშვილი იქნება. თქვენ გაქვთ ეს ინფორმაცია?

– არა. ვნახოთ, დაველოდოთ. ვინც უნდათ, ის წარადგინონ, მაგრამ, თუ საერთო კანდიდატებსა და შეთანხმებაზეა საუბარი, მაშინ შეთანხმება გულისხმობს, რომ კანდიდატებთან დაკავშირებით ასეთი მოარული ხმები არ უნდა იყოს. კონსულტაციების შედეგად უნდა იყოს გადაწყვეტილება მიღებული და არა მოარული ხმებით. პირდაპირ გეტყვით: თუ ვადამდელი არჩევნები უნდა დაინიშნოს, თუ 43%-იანი ბარიერი ვერ უნდა გადალახოს „ოცნებამ“, მაშინ თბილისში მერობის კანდიდატიც შესაბამისი პოლიტიკური წონის უნდა იყოს. ამ კუთხით უნდა შევარჩიოთ თბილისის მერობის კანდიდატი. თუ ეს ბრძოლა მართლა ცვლილებებისთვის ბრძოლა უნდა იყოს, მაშინ ასეთი გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ. ისე, თუ „ქართული ოცნება“ დარჩება ხელისუფლებაში, მაშინ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება ხელისუფლებაში.

– რამდენად ლოგიკურია, რომ ოპოზიცია დღეს ფრაგმენტულია, სუსტია და მათი ამოცანა შეიძლება სულაც არ არის ვადამდელი არჩევნები, რომ პროცესები ოპოზიციამ 2024 წლამდე გადასწიოს?

– ეს არც ოპოზიციაზეა დამოკიდებული და არც „ქართულ ოცნებაზე“. ეს, საბედნიეროდ, ქართველ ხალხზეა დამოკიდებული. ხალხს კი ცვლილებები უნდა. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ასე მშვიდად უნდა დაჯდე და 2024 წელს დაელოდო, მაშინ, გამოდის, საერთოდ წარმოდგენა არ ჰქონიათ პოლიტიკაზე. პოლიტიკას ქმედება სჭირდება.

– თუმცა ბევრი უკვე პარლამენტშია და „თბილი“ სავარძელი ოთხი წლით უზრუნველყოფილი აქვთ.

– არ დაგავიწყდეთ, ბევრჯერ გვინახავს თბილი სავარძლებიდან ჩამოყრილი ხალხი, როდესაც ისინი ხალხის ინტერესებს არ ატარებენ. ტყუილად ჰგონია ვინმეს, თუ ფიქრობს, რომ სამზარეულოს პოლიტიკას გაატარებს ამ ქვეყანაში. რეგიონში ყოველწუთიერად იცვლება მოვლენები და, ამ მოვლენების ადეკვატურები თუ არ იქნებიან, ასე შორს ვერ წავლენ.

2011 წელსაც ასე ეგონა სააკაშვილს, 26 მაისის შემდეგ, რომ კიდევ 15 წელი განაღდებული ჰქონდა ხელისუფლებაში ყოფნა, მაგრამ ერთ წელიწადში აღმოჩნდა, რომ მთლად ასე არ არის. ვნახეთ, როგორ გაჩნდა ახალი რესურსი. ასეთი ახალი რესურსი გაჩნდება. ყველა ახალი რესურსის გაჩენის პირობებში კი ხელისუფლება იცვლება.

– ეს რესურსი გახარიაა?

– არა, არა. გახარია რესურსი ვერასოდეს იქნება. ის მშიშარა ადამიანია. ის „ქართულ ოცნებას“ ართმევს ხმებს. მისი ფუნქციაც ეს არის. გახარიას თუ რამის გაკეთება უნდოდა, ისეთი კარტბლანში და მხარდაჭერა ჰქონდა, რომ დამოუკიდებლად ასეთი პირობები მას არ ექნება, თან, ვინ ჰყავს გვერდით, არავინ და როგორ შეიძლება, ამ პირობებში რაღაც შეცვალო ქვეყანაში. ასეთი მითები უნდა დავამთავროთ.

– სააკაშვილთან ერთად გამორიცხავთ?

– არ მჯერა ამ მითების. მათ რაიმე საერთო რომ ჰქონდეთ, ამერიკაში როგორ ვერ შეძლეს გასაიდუმლოებულად შეხვედრა?! მე პირიქით მგონია.

– რა გგონიათ?

– სააკაშვილმა მოაწყო ეს ყველაფერი, რომ დღის წესრიგი შეექმნა მის გარშემო. ხომ ხედავთ, როგორი სალაპარაკო თემა გააჩინა უცებ. ინტრიგას ინარჩუნებს, ქართულ პოლიტიკაში საკუთარი თავის აქტუალიზაციას ახდენს. გამოცდილია.

– უნდა ჩამოვიდეს ამ არჩევნებისთვის?

– არა. „ქართული ოცნების“ წისქვილზე დაასხამს წყალს. პირდაპირ ვთქვათ, ამ ქვეყნის მოქალაქეების აბსოლუტურ უმრავლესობას სააკაშვილის ერთპიროვნულ მმართველობაში დაბრუნება არ უნდა. თუმცა ნაციონალების გარეშეც ოპოზიციის გამარჯვება ვერ მოხდება. ამიტომ ქვეყნის განვითარებისა და მართვის ახალი მოდელია შესაქმნელი.

„კალაძე „ოცნებასთან“ ვაჭრობს“

თორნიკე შარაშენიძე: „ახლა ჩვენ რომ გვესმის რაღაც სისულელეები ოპოზიციის მხრიდან, რომ სანქციებს დაადებენ ამ მოსამართლეების გამო, ეს ყველაფერი ზღაპარია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, მართალია, პარლამენტში პოლიტიკურმა ტემპერატურამ მოიმატა, მაგრამ ოპოზიციის მისამართით მაინც სერიოზული კრიტიკა ისმის. რას იტყვით ოპოზიციის ქმედებაზე, რამდენად თანმიმდევრულია წინასაარჩევნოდ?

– დღეს ოპოზიციაზე, როგორც ერთ მთლიანობაზე საუბარი ძალიან ძნელია. ისინი აღარ არიან ერთიანები, არ აქვთ ერთიანი სტრატეგია და ამით უკვე ყველაფერი ნათქვამია. ამ პროცესით „ოცნებაც“ მშვენივრად სარგებლობს. ნაცმოძრაობა არ აწერს შარლ მიშელის დოკუმენტს ხელს, „ქართული ოცნებაც“ არღვევს გარკვეულ შეთანხმებებსა და პუნქტებს და ასე შემდეგ. ერთიანი რომ იყოს ოპოზიცია, მაშინ სულ სხვა მოცემულობა გვექნებოდა.

– „ოცნებაც“ ამდენს ვერ გაბედავდა?

– მათ შორის, რა თქმა უნდა. ის, რაც ხდება, რეალურად არის შედეგი ოპოზიციის დაქსაქსულობისა და კიდევ იმის, რომ ოპოზიციის დიდი ნაწილი კონცენტრირებულია იმაზე, რაც ამომრჩევლის უდიდეს ნაწილს საერთოდ არ აინტერესებს.

– აქვს ოპოზიციას რაიმე შანსი ამ არჩევნებზე?

– მე ვერ ვხედავ, რომ მათ წინასაარჩევნო კამპანია დაწყებული ჰქონდეთ, რასაც ვერ ვიტყვით „ოცნებაზე“. თუ ოპოზიცია თავის კამპანიაში თვლის იმას, რომ 24 საათი ლაპარაკობენ იმაზე, რომ „ქართულ ოცნებას“ არ უნდა, რომ ჩაატაროს ღირსების მარში, მხოლოდ ეს არის? სხვა არაფერი აქვთ სათქმელი? დარწმუნებული ვარ, მოსახლეობის დიდ ნაწილს სულაც არ უნდა, რომ ჩატარდეს ღირსების მარში და, პირიქით, ოპოზიციის წინააღმდეგ იქნება განწყობილი ამის გამო. ჯერჯერობით რასაც ვუყურებ, ოპოზიცია თითიდან გამოწოვილ თემებზე ლაპარაკობს, რომელსაც მოსახლეობა ვერ იგებს ელემენტარულად და ყველაფერი ამით მთავრდება.

– პარლამენტში თუ შევიდნენ, დოკუმენტზეც უნდა მოეწერათ ხელიო. ასეა?

– რა თქმა უნდა, უნდა მოეწერათ. მერე უფრო სხვანაირად იქნებოდა საუბარი, ეტყოდნენ ხელისუფლებას, აი, მოვაწერეთ ხელი და ახლა ეს დოკუმენტი ზედმიწევნით შეასრულეთო.

– „ლელოს“ პოზიციაზე რას იტყვით? ნაციონალური მოძრაობის რიგებში ჩაეწერნენო, მოვისმინეთ ასეთი შეფასებებიც.

– რასაც მე ვუყურებ, მათ კიდევ თავიანთი ამბიციები აქვთ. რამდენად იქნებიან ამ ამბიციებით განცალკევებული და თავიანთი დღის წესრიგით, ამაზე ლაპარაკი მიჭირს.

– სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით უკვე ძალიან ბევრი შენიშვნა მიიღო „ქართულმა ოცნებამ“, მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებით.

– შენიშვნები კი მიიღო, მაგრამ, შეხედეთ, რა ხდება. „ოცნებას“ ყოველთვის შეუძლია თქვას, რომ ეს სასამართლო გაცილებით უკეთესია, ვიდრე წინა ხელისუფლების სასამართლო. ამაში კი მათ ვერავინ მოედავება. ეს ერთი და მეორეც, რაც „ოცნებისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანია, მათ კარგად ისწავლეს მანევრირება, არასოდეს გადაკვეთენ წითელ ხაზს დასავლეთთან ურთიერთობაში. ახლა ჩვენ რომ გვესმის რაღაც სისულელეები ოპოზიციის მხრიდან, რომ სანქციებს დაადებენ ამ მოსამართლეების გამო, ეს ყველაფერი ზღაპარია. ეს „ოცნებაშიც“ მშვენივრად იციან და აგრძელებენ ამ პოლიტიკას, მშვიდად ნიშნავენ მოსამართლეებს. ზუსტად იციან, რომ ამ პროცესს რაიმე დრამატული პასუხი მოსამართლეების მხრიდან არ მოჰყვება.

– თუმცა მოვისმინეთ ცალკეული მკვეთრი განცხადებები, იგივე ამერიკის ელჩის შეფასებები.

– კი ბატონო, მოვისმინეთ. შესაძლოა, ამას მოჰყვეს ერთი-ორი დატუქსვა, მაგრამ ამის გამო სანქციები რომ დაადონ ან თუნდაც დაფინანსება შეუმცირონ, ეს ამ ეტაპზე ყველანაირად წარმოუდგენელია.

– ანუ „ოცნებამ“ ისწავლა, როგორ უნდა ითამაშოს და როგორ არ უნდა გაამწვავოს ვითარება დასავლეთთან?

– დიახ, „ქართულმა ოცნებამ“ კარგად ისწავლა დასავლეთთან მუშაობა, სხვა ყველაფერთან ერთად. ადრე თუ ოპოზიციის პრეროგატივად ითვლებოდა, რომ დასავლეთთან ლაპარაკი მათ შეუძლიათ და „ოცნებას“ – არა, ახლა აღარ არის ასე. ოპოზიცია ამას ვერ ხვდება, ჯერჯერობით გონს ვერ მოეგო, კვლავაც ჰგონიათ, რომ მარტო თვითონ იციან ინგლისური. ასე არ არის საქმე.

– იმდენად დაიქსაქსა დღეს ოპოზიცია, რომ ალბათ რაიმე სახის ერთობასა და ერთიან კანდიდატზე ლაპარაკიც ზედმეტია.

– დარწმუნებული ვარ, რომ ეს საერთოდ გამორიცხულია, მით უმეტეს, ჩვენ ვუყურებთ, რომ ოპოზიციურ ფლანგზე შემოვიდა მძიმეწონიანი გიორგი გახარიას სახით და, სადაც იქნება „ოცნების“ კანდიდატი, ნაციონალების კანდიდატი და გახარიას კანდიდატი, დანარჩენი კანდიდატები, ფაქტობრივად, არ გამოჩნდებიან. ძირითადი ბრძოლა წავა ამ სამ კანდიდატს შორის.

– გახარია ახსენეთ და დასრულდა მისი ტურნე ევროპასა და ამერიკაში. ამერიკაში ვიზიტი საკმაოდ ხმაურიანიც კი გამოდგა. ერთ სასტუმროში გადაიკვეთა სააკაშვილთან გიორგი გახარია. რას იტყვით ამ ყველაფერზე? როგორც ოპოზიციონერ ლიდერს, საკმაოდ მაღალი დონის შეხვედრები ჰქონდა. რით ხსნით მის მიმართ მაღალ ინტერესს?

– ახალი მოთამაშეა და ასევე კარგი კონტაქტებიც აქვს. რაც შეეხება იმას, რომ აქ ამდენი ლანძღეს გახარია, რაც უფრო მეტს ლანძღავენ, უკეთესია. საქართველოში პოლიტიკაში თუ ხარ, უნდა გლანძღონ. ქართულ პოლიტიკაზეა ნათქვამი, თუ მლანძღავენ, ე.ი. ვარსებობ, თუ არ მლანძღავენ, არ ვარსებობ. რადგან ლანძღავენ გახარიას, ე.ი. საკმაოდ ძლიერია. რაც შეეხება იმას, რომ სააკაშვილთან ჰქონდა ფარული შეხვედრა, მე ამის არ მჯერა, მიუხედავად იმისა, რომ ერთ სასტუმროში მოხვდნენ. ვაშინგტონი არც ისე დიდი ქალაქია და, თუ გინდა, რომ იმ სასტუმროში გაჩერდე, რომელიც ახლოს არის კონგრესთან და თეთრ სახლთან, ასეთი სასტუმროების არჩევანი ძალიან ცოტაა. ასე რომ, თუ დაემთხვა, რომ ერთი ღამე ერთ სასტუმროში გაატარეს გახარიამ და სააკაშვილმა, დარწმუნებული ვარ, ჩვეულებრივი დამთხვევა იყო. ვიღაცამ ეს ყველაფერი წინასწარ შეამოწმა, ჩასაფრდა და მერე ააგო ამაზე მთელი თეორიები, რასაც ვუსმენდით ამდენი ხანი. ეს იყო სამთავრობო პროპაგანდა.

– აშინებს „ოცნებას“ გახარიას რეიტინგი?

– ვერ გეტყვით. ერთი ვარიანტია, რომ აშინებს და მეორე ვარიანტია, რომ ამით თვითონ უძლიერებენ რეიტინგს.

– სულ ამბობენ, რომ გახარია ივანიშვილს პრობლემებს არასოდეს შეუქმნის, რომ ის მისი ბე ვარიანტია. ასეა?

– რომ ავიღოთ, ივანიშვილს რა ურჩევნია, გაიმარჯვოს ნაცმოძრაობამ თუ გახარიამ, რა თქმა უნდა, ურჩევნია, გახარიამ გაიმარჯვოს, იმიტომ, რომ გახარია არ იქნება შურისძიების გრძნობით შეპყრობილი და არ უზამს იმას, რასაც სააკაშვილი უზამს ივანიშვილს. ერთ სისტემაში იყვნენ და ასე მარტივი არ იქნება ივანიშვილთან ასე ღიად დაპირისპირება, თუმცა გახარიას ამ ეტაპზე გამარჯვების შანსი ნაკლები აქვს.

– რას იტყვით კახი კალაძეზე? მას აქტიური წინასაარჩევნო კამპანია აქვს გაჩაღებული, თუმცა ოფიციალურად არავის მხრიდან არ ისმის, რომ ის იქნება „ოცნების“ კანდიდატი. რატომ?

– მე მგონი, შიგნით ვაჭრობა და სიტუაციის გადალაგება მიმდინარეობს. დარწმუნებული ვარ, კალაძეც ვაჭრობს რაღაც-რაღაცებით, იმიტომ, რომ ამ ეტაპზე „ოცნებას“ კალაძე სჭირდება აშკარად. არ ჰყავთ ბევრი სერიოზული და ძლიერი ფიგურა.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„ოცნება“ ნაციონალებთან ჰარმონიულად არის შერწყმული“

ვახტანგ მაისაია: „იარაღის უკანონო ტრანზიტზე კეზერაშვილ-მერაბიშვილის მხილებას ვაპირებდი, ამიტომ დამაპატიმრეს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.

– ბატონო ვახტანგ, პრემიერის მიერ პარლამენტში წლიური ანგარიშისა და მომავალი გეგმების წარდგენისას კრიტიკული კითხვები თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებითაც დაისვა. თქვენ რა შენიშვნა გექნებოდათ?

– მეც მქონდა კონკრეტული შენიშვნა. ერთ-ერთ დეპუტატს ვთხოვე, კითხვა დაესვა, მაგრამ მითხრა, რომ შეცვლილია. სინამდვილეში არაფერია შეცვლილი. მე მქონდა კითხვა საქართველოს უსაფრთხოების სისტემაზე, რაც ნატოში გაწევრიანების ერთ-ერთი შემაფერხებელი გარემოებაა. საერთოდ, საქართველოს უსაფრთხოების სისტემა უნდა იყოს რეფორმირებული.

კანონი საიდუმლოების შესახებ და საიდუმლოების პროცედურა უნდა იყოს გარდაქმნილი და ნატოს სტანდარტებთან მიახლოებული. 2015 წელს კოსმეტიკური შესწორება მოხდა და აბსოლუტურად არაფერი შეცვლილა. გრიფით „საიდუმლოს“ მინიჭების პროცედურა ნატოს სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს. თავსებადობა უნდა იყოს ნატოს სტანდარტებთან და ნატოს რეგულაციის წესებთან, რაც ჩვენთან არ არის გაკეთებული. ჩვენთან 1997 წელს ედუარდ შევარდნაძის მიერ საბჭოთა კანონმდებლობიდან გადმოღებული კანონით რეგულირდება, რომელიც საერთოდ დრმოჭმულია და არავითარ კატეგორიას არ შეესაბამება.

ჩვენთან ერთადერთი სტრუქტურაა სუსის კონტრდაზვერვა, რომელსაც გრიფით „საიდუმლოს“ მინიჭების უფლება გააჩნია, მაგრამ არაკომპეტენტურია. მაგალითად, მას არ შეუძლია განსაზღვროს, სად არის საჭირო სამხედრო-ტექნიკური, სამხედრო-პოლიტიკური საიდუმლოების გრიფის მინიჭება. ეს არის პრობლემა. უნდა შეიქმნას სპეციალური სახელმწიფო-ტექნიკური კომისია, რომელიც განსაზღვრავს, როდის არის საჭირო სამხედრო-ტექნიკური საიდუმლოების გრიფის მინიჭება (სამხედრო შეიარაღებას შეეხება, ორგანიზაციას თუ ტექნიკას, მან უნდა განსაზღვროს, როგორ უნდა იყოს შესყიდვა).

პარლამენტს და საგარეო საქმეთა სამინისტროსაც უნდა მიეცეთ საიდუმლოების გრიფის მინიჭების უფლება. მხოლოდ სუსსა და კონტრდაზვერვას არ უნდა ჰქონდეთ მონოპოლია, რომლებიც არაკომპეტენტურები არიან. მათი არაკომპეტენტურობის რეალური საფუძველი ყოველთვის იყო.

სისტემა უნდა შეიცვალოს, უნდა დაემატოს ნატოს სტანდარტები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაწევრიანების სამოქმედო გეგმას არ მოგვცემენ. ახლა ჩვენ გაწევრიანების პროგრამა რომ არ მოგვეცა, მათ შორის, ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. ნატოს გენერალურმა მდივანმა და მისმა მოადგილემ აპატურაიმ თქვეს, რომ საჭიროა რეფორმების განხორციელება.

– აცხადებენ, რომ საქართველო ნატოში ინტეგრაციისთვის მზად არის.

– გასაგებია, მაგრამ კანდიდატი ქვეყნებისთვის ნატოში გაწევრიანებისთვის სამოქმედო გეგმაში 5 ძირითადი კრიტერიუმია შესასრულებელი. პირველი კრიტერიუმია პოლიტიკური, მეორე – სამხედრო-პოლიტიკური და სამხედრო-ტექნიკური, მესამეა ეკონომიკური ანუ რესურსების მართვა, მეოთხეა დოკუმენტებზე გრიფით „საიდუმლოს“ მინიჭების პროცედურა და ეროვნული უსაფრთხოების სისტემის თავსებადობა ნატოს სტანდარტებთან. მეხუთე – ნატოს წევრი ქვეყნების საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზება ქართულ სამართალთან. ეს 5 კრიტერიუმია შესასრულებელი მაპის მისაღებად.

– თქვენი შეფასებით, აქედან რამდენია შესრულებული?

– მეორე – სამხედრო-ტექნიკური და სამხედრო-პოლიტიკური სრულდება, მაგრამ მეოთხე, მეხუთე კრიტერიუმი შესრულებულია? ეკონომიკური მოდელი, რესურსების განაწილება რამდენად არის თავსებადი ნატოს სტანდარტებთან? მოგეხსენებათ, საქართველოში როგორი პოლიტიკური სიტუაციაა. ამერიკის საელჩო და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი შეშფოთებას გამოთქვამენ, რომ შარლ მიშელის დოკუმენტი არ სრულდება. ასევე შენიშვნებს გამოთქვამენ სასამართლოსთან დაკავშირებით. ეს არის პოლიტიკური ბლოკი.

– ამერიკის სენატმა რეზოლუცია მიიღო, სადაც შეშფოთებას გამოთქვამს, რომ ზოგიერთი პარტია მიშელის დოკუმენტს ხელს არ აწერს. თუ ნაცმოძრაობა ამ დოკუმენტს ხელს არ აწერს, იყოს თავისთვის, ამერიკის სენატში რა აშფოთებთ, რა საშიშროებას გრძნობენ?

– ჩვენი ნატოელი მეგობრები საერთოეროვნულ იდეას ახორციელებენ, უნდათ, საერთო-ეროვნული პლატფორმა იყოს, შეთანხმებული და ჰარმონიზებული იმ პრინციპებზე, რომლებიც შარლ მიშელის დოკუმენტშია დაფიქსირებული. უნდათ, რომ ერთიანი ეკონომიკური პლატფორმა შემუშავდეს.

– პრემიერმა ნაცდეპუტატებს უთხრა, საქართველოსთვის საფრთხის შემცველი ძალა ხართო. ეს ხომ არ არის სიმართლე და ამერიკელ სენატორებს ამიტომ ხომ არ აშფოთებთ ნაცების უარი მიშელის დოკუმენტზე?

– ეს პრემიერს უნდა ჰკითხოთ. თუ ვისაუბრებთ სააკაშვილის ფაქტორზე, ის ისედაც ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხეს წარმოადგენს, რადგან დესტრუქციული ელემენტია, ყოველთვის დესტრუქციული იყო და ასეთად დარჩება. ნიკა მელიაზე ნამდვილად არ შემიძლია ვთქვა, რომ დესტრუქციული ძალაა. სამწუხაროდ, გვინდა თუ არა, ნაცმოძრაობა ერთ-ერთი სერიოზული პოლიტიკური ძალაა.

ასეთი შეფასება ნამდვილად არ მეხალისება. თავის დროზე, როცა სერიოზული დანაშაულები გამოვლინდა, ნაცმოძრაობა, როგორც პოლიტიკური ძალა, უნდა აკრძალულიყო, კონკრეტული პირების წინააღმდეგ სასამართლო პროცესები უნდა გამართულიყო და უნდა მომხდარიყო ქვეყნის დენაციფიკაცია, რადგან საქართველოში სააკაშვილის დროს, ფაქტობრივად, ნაციზმი სუფევდა.

„ქართულმა ოცნებამ“ ეს არ განახორციელა და ნაცმოძრაობა გამოიყენა, როგორც ერთ-ერთი მანიპულირებადი ინსტრუმენტი. ის ძალიან ჰარმონიულადაა შერწყმული ნაცმოძრაობასთან. ამიტომ პრემიერ-მინისტრისა და მმართველი პარტიისაგან ასეთი ტიპის განცხადებები ცოტა რიტორიკულია და ანტურაჟს მაგონებს.

– ანუ შიდაპოლიტიკური თუ არაპოლიტიკური რყევები, რომლებითაც ნამდვილად განებივრებული ვართ, ქვეყანას საფრთხეს უქმნის?

– რა თქმა უნდა, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი კრიზისი ქვეყანას უქმნის საფრთხეს, რის გამოც ჩვენი დასავლელი მეგობრები შეშფოთებული არიან.

– ნატოში გაწევრიანებასაც უშლის ხელს.

– დიახ, პირდაპირ კავშირშია. ამერიკის პოლიტიკური სისტემა აგებულია ძალთა განაწილების სამ პრინციპზე – აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებების უფლებამოსილებების მკაცრ გამიჯვნაზე. ეს სამი სახელისუფლებო შტო დაბალანსებული უნდა იყოს. მათ შორის, სასამართლო ხელისუფლება მთავარი პრიორიტეტია, რომელიც მოდარაჯე ძაღლია – აკონტროლებს დანარჩენ ორ შტოს. როდესაც სასამართლო პოლიტიზებული გაქვს, სასამართლოში კლანური მმართველობაა, რომელ დემოკრატიაზეა საუბარი.

– ისე, თუ მთელ მოსამართლეთა კორპუსს არ დაითხოვ (მუდამ იქნება საუბარი კლანზე), როგორც ეს ნაცმოძრაობამ გააკეთა, ძნელია გამორჩევა.

– სასამართლოში კლანის პრობლემაა. ის კლანი, რომელიც სააკაშვილის პერიოდში მთელ სასამართლოს ატერორებდა, პოლიტიკური ტერორის ინსტრუმენტი იყო, დღესაც აგრძელებს მუშაობას. პოლიტიკურ საქმეებში რომელი მოსამართლეებიც იყვნენ, დღესაც იგივე მოსამართლეები არიან. ისინი ქმნიან კლანს. ჩვენ ძალიან ბევრი ღირსეული იურისტი გვყავს და ეს კლანი სასამართლოს უნდა ჩამოსცილებოდა. ისინი უნდა ჩამოსცილებოდნენ ყოველგვარ იურიდიულ საქმიანობას, მაგრამ დღესაც აგრძელებენ მუშაობას.

მურუსიძეზე, რომელმაც გაასამართლა გირგვლიანის მკვლელები და ფუფუნება შეუქმნა ჯალათებს, ევროპის სასამართლომაც ისეთი სერიოზული ვერდიქტი გამოიტანა, სასამართლოში კი არ უნდა მუშაობდეს, იურიდიული საქმიანობის უფლებაც კი უნდა ჩამორთმეოდა. ასეთი მოსამართლე კიდევ არის 200, რადგან საქართველოში 200 პოლიტპატიმარი იყო. რატომ უნდა იყვნენ სასამართლო სისტემაში დღეს ის მოსამართლეები, რომლებმაც პოლიტპატიმრების საქმეები განიხილეს?

– თქვენ ხუთი ფაქტორი დაასახელეთ, რომლებიც არ სრულდება და ამიტომ ვერ ვიღებთ მაპს.

– მე არ ვამბობ, რომ ასეა. ასეთია ტენდენცია. მაპს აქვს ხუთი მარეგულირებელი მომენტი. მათგან საიდუმლოების შესახებ მეოთხე პუნქტი საერთოდ არ შეესაბამება ნატოს სტანდარტებს. კვლავ არის მოსმენები, კვლავ არის პოლიტიკური დევნა უშიშროების სტრუქტურების მიერ. სამწუხარო რეალობა ასეთია. ჩვენი საზოგადოება კვლავ სამზარეულოს პრინციპს უბრუნდება.

მე ისეთმა ადამიანმა მითხრა, მისმენენო, რომ ყბა ჩამომივარდა. მეც ვიცი, რომ მისმენენ, ჩემს სახლთან ოპერატიული მანქანები დადიან.

– პარლამენტის სხდომაზე დაისვა კითხვა თავდაცვის უწყებაში კორუფციასთან დაკავშირებით, რაზეც პრემიერმა უპასუხა, რომ კორუფცია იყო ნაცების დროს. თავდაცვის უწყებიდან სწორედ მაშინ გაქრა მილიარდი ლარი, რომლითაც იარაღი უნდა შეძენილიყო. დღემდე კეზერაშვილის დროინდელ ვალებს იხდიან. არც იარაღი იქნა შეძენილი და არც ფული დაუბრუნებიათ. კეზერაშვილმა მილიარდი ჩამოწერა. ამაზე რა იცით?

– ეს მხოლოდ ღარიბაშვილის ინფორმაცია არ არის, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმაც დაადასტურა. 2012 წელს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა თავის ანგარიშში დაწერა, რომ თავდაცვის სამინისტროში იყო სერიოზული ელიტური კორუფცია. სააკაშვილის რეჟიმის დროს დაფიქსირდა, რომ საქართველო იყო იარაღის შავი ტრაფიკის არეალი. საქართველოდან რამდენი იარაღი წავიდა მესამე სამყაროში. ეს ცალკე საუბრის თემაა.

ასე რომ, ღარიბაშვილის განცხადება ნაცრეჟიმის დროს თავდაცვის სამინისტროში არსებული კორუფციის ფაქტების თაობაზე აბსოლუტური ჭეშმარიტებაა. ამაზე ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამდა, კონკრეტული ფაქტებიც დაიდო. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი და ამერიკის პოლიციმეიკერი შეხვედრებზე ამას სააკაშვილს ყოველთვის ეუბნებოდნენ.

მე რომ ვაპირებდი ფაქტების გამომზეურებას იარაღის უკანონო ტრანზიტისა და ამ საქმეში კეზერაშვილ-მერაბიშვილის როლზე, იმიტომ დამაპატიმრეს. ეს იყო ჩემი დაპატიმრების რეალური მიზეზი. ჩემს საქმეში დევს ამის მტკიცებულებები. ჩემს საქმეს ჯერ კიდევ გრიფით „საიდუმლო“ ადევს. მე აღნიშნული მტკიცებულებები ჩემს ფეისბუქზე ავტვირთე, გავასაჯაროვე და კომენტარიც დავურთე. იქ ნახავთ, რა სისულელეები წერია ჩემს სისხლის სამართლის საქმეში. ისეთი მასალები გამოვამზეურე, ამ მასალის მიხედვით ჯილდო მეკუთვნის. მივმართე კიდევაც სალომე ზურაბიშვილს, რომ ჯილდო მომცენ.

– ანუ ჯილდო რაში გეკუთვნით, რა გამოამჟღავნეთ?

– გამოვამჟღავნე საერთაშორისო ტერორისტული ქსელი. შედით ჩემს ფეისბუქზე და ნახავთ. როგორც ჩანს, ხელისუფლებას ამ ფაქტების გამომზეურება არ აწყობს. რატომ? ეს ღარიბაშვილს უნდა ჰკითხოთ. მართალია, რომ მილიარდი ლარი გაქრა. პროკურატურას თავის დროზე უნდა გამოეძიებინა და იარაღის ტრანზაქციისა და კორუფციის შესახებ კონკრეტული საქმეები დაედო, სამართლებრივი შეფასება მიეცა. ამიტომ ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს.

– ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ 2008 წლიდან 20012 წლამდე ქართველი დაზვერვის ოფიცრები რუსეთის ტყვეობაში იმყოფებოდნენ. ისინი სააკაშვილის მთავრობამ რუსეთში ჩატოვა. ეს რას ნიშნავს?

– 2008 წლის ივლისში რუსეთის ფედერაციამ დააპატიმრა ქართული რეზიდენტურა. როგორც ისინი ამბობდნენ, 16 ადამიანი დააპატიმრეს. მათ ხელმძღვანელად დაფიქსირებული იყო ვინმე ბატონი ზურაბ ხერკელაძე. მათ შორის ქართული წარმოშობის რუსეთის მოქალაქეებიც იყვნენ. თუ არ ვცდები, 5 თუ 6 საქართველოს მოქალაქეც გახლდათ. მიხეილ სააკაშვილმა არაფერი გააკეთა მათ გამოსახსნელად. არ ვიცი, ისინი მართლა იყვნენ თუ არა ქართული სადაზვერვო უწყების წარმომადგენლები, მაგრამ რუსები ამბობენ, რომ ისინი დააპატიმრეს, როგორც ჯაშუშები.

მართალია თუ არა, ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ ხელისუფლებას მათ გამოხსნაზე უნდა ეზრუნა. როგორც ვიცი, ჩვენი დაზვერვის ოფიცრები რეჟიმის ცვლილების შემდეგ, ბიძინა ივანიშვილის დროს დააბრუნეს.

ირაკლი ღარიბაშვილს ისიც უნდა ეთქვა, აგვისტოს ომის შემდეგ, 2008 წლიდან 2012 წლამდე, რუსეთის სამხედრო ტრანზიტი რომ ხორციელდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე. ეს რატომ არ თქვა? რუსეთი რა შეიარაღებას ატარებდა ჩვენს ტერიტორიაზე, არავინ იცის. ტრანზიტს ახორციელებდა როგორც ჰაერიდან, ასევე ხმელეთზე. რა იარაღი შეიტანეს გიურმის ბაზაზე, არავინ იცის, ვინმე ჩხრეკდა თუ რა.

ოკუპირებულ აფხაზეთში დე ფაქტო პრეზიდენტს მორიგ ბრალდებებს უყენებენ

ბჟანია მხარდამჭერებს რაზმავს, ოპონენტებს კი დიალოგს სთავაზობს

მარიამ მჭედლიშვილი

– აფხაზეთის მოქალაქეებს აქვთ უფლება, იცოდნენ, საით მიჰყავს თავისი პოლიტიკა მათი კონსტიტუციური უფლებების გარანტს, – ნათქვამია ოკუპირებული აფხაზეთის მთელი რიგი ოპოზიციური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართვაში.

ოპონენტებმა, რომელთა შორის სხვებთან ერთად არიან აფხაზეთის ნაციონალური მოძრაობის ლიდერი ადგურ არძინბა და ვეტერანების ორგანიზაცია „არუაა“, დე ფაქტო პრეზიდენტს ასლან ბჟანიას წერილით მიმართეს.

ავტორებმა ადრესატი დაადანაშაულეს იმაში, რომ ის უგულებელყოფს კონსტიტუციით დაკისრებულ ვალდებულებას, გამოვიდეს წლიური მოხსენებით პარლამენტის – სახალხო კრების წინაშე.

ბჟანია წლიური მოხსენებით სახალხო კრებაში არ გამოსულა, თუმცა მან იქ რამდენიმე წლის წინ წარადგინა „საგარეო კონცეფცია“, რომელიც თბილისთან ურთიერთობებსაც ეხება. იქ საუბარი იყო „საქართველოსთან მრავალდონიან თანამშრომლობაზე“.

ბჟანიასა და მისი გუნდის ახალ მიდგომებს ისეთი მძაფრი რეაქცია მოჰყვა პარლამენტსა და მის გარეთ, რომ იგი იძულებული იყო, დასთანხმებოდა სახალხო კრების შესწორებებს მტკივნეულ საკითხზე.

ახლანდელ წერილში ოპონენტები ბჟანიას მრავალდონიან მოლაპარაკებებსაც უხსენებენ და აცხადებენ, რომ აფხაზეთის მოქალაქეების უმრავლესობას რომ სცოდნოდა გეგმები ამის თაობაზე, ბჟანიას არჩევნებზე ხმას არ მისცემდა.

ბჟანიას ასევე ბრალად სდებენ კრიპტოვალუტის ლეგალიზაციას, რამაც უზარმაზარი ზიანი მიაყენა „სახელმწიფოსა და მოქალაქეებს“ და სტრატეგიული ობიექტების გაყიდვის სურვილს.

ვინაიდან ასლან ბჟანია აფხაზეთის განვითარების „საგარეო და საშინაო“ საკითხებზე პარლამენტში არ გამოდის, ოპონენტები მას ტელეეთერში მოსვლისკენ მოუწოდებენ. მათი აზრით, გადაცემაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ოპოზიციის ლიდერმა ადგურ არძინბამაც.

ასლან ბჟანია მანამდე მშობლიურ პარტია „ამცახარში“ მივიდა. პარტიის პოლიტსაბჭომ გამოწვევებზე იმსჯელა. გადაწყდა, შეიქმნას ხელისუფლების მხარდამჭერი ორგანიზაციების კავშირი. ბჟანიამ გამოთქვა მზადყოფნა ოპოზიციასთან დიალოგზე. ყველა შეთანხმდა, რომ ამას მოითხოვს სტაბილურობა.

პოლიტსაბჭომ მოუწოდა პოლიტიკურ ძალებს, არ იხელმძღვანელონ ამბიციებით, უარი თქვან ხელისუფლების დისკრედიტაციისკენ მიმართულ ქმედებებზე.

ბჟანიამ „ამცახარას“ გააცნო ხელისუფლების საქმიანობის მიმართულებები. მათ შორისაა წესრიგის დამყარება, ეკონომიკური განვითარება, პანდემიასთან ბრძოლა, ინვესტიციების მოზიდვა.

მანამდე ოპოზიციამ ბჟანია-ანქვაბი-შამბას გუნდს კრიმინალურ ავტორიტეტებთან გარიგება დააბრალა. შს მინისტრმა დიმიტრი დბარმა ეს კატეგორიულად უარყო. მანვე განაცხადა, რომ ოპოზიციური პარტიის „აფსნის“ ლიდერ გაბნიას მანქანის ამფეთქებელი დაკავებულია.

ოკუპირებულ აფხაზეთში პოლიტიკური არასტაბილურობა ისეთივე დამკვიდრებული ტრადიციაა, როგორც კრიმინალის თარეში. ხელისუფლებების შეცვლით სიტუაცია არ იცვლება. მდგომარეობას ყოველთვის ართულებს ხელისუფლებების საეჭვო ლეგიტიმაცია.

ბჟანია-ანქვაბი-შამბას გუნდი არჩევნებით მოვიდა, თუმცა ამას წინ უძღოდა 2020 წლის იანვრის მოვლენები – ხალხის შეჭრა ხაჯიმბას „საპრეზიდენტო“ რეზიდენციაში. ამის გამო ბჟანიას ოპონენტები არ შეწყვეტენ საუბარს ახლანდელი ხელისუფლების არალეგიტიმურობაზე.

აფთიაქის სამალავში თბილისში ფსიქოტროპული წამლები იპოვეს

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ თბილისში მდებარე ერთ-ერთი აფთიაქის ინსპექტირებისას სპეციალურად მოწყობილ სამალავში დიდი ოდენობით ფსიქოტროპული მედიკამენტი აღმოაჩინა.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, დაწესებულებაში განხორციელებული კონტროლის ღონისძიების შედეგად დადასტურდა, რომ აფთიაქი ახორციელებდა უკანონო ფარმაცევტულ საქმიანობას და აღნიშნული ფსიქოტროპული ნივთიერებები დაწესებულებას მიღებული ჰქონდა კანონდარღვევით.

უნებართვოდ არსებული, პირველ ჯგუფს მიკუთვნებული 1489 ერთეული ფარმაცევტული პროდუქტი დაილუქა და ჩამოერთვა დაწესებულებას. დარღვევასთან დაკავშირებით შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი გადაეგზავნა სასამართლოს, შემდგომი რეაგირებისთვის.

ხობში მამაკაცი დაჭრეს

ხობის მუნიციპალიტეტში, ხობი– საჯიჯაოს ცენტრალურ გზაზე, მამაკაცი დაჭრეს. შემთხვევა 27 ივნისს მოხდა.

არსებული ინფორმაციით, სიტყვიერი დაპირისპირება ფიზიკურში გადაიზარდა.

დანაშაულის მოტივად წარსულში არსებული დავა სახელდება. დაჭრილი სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურმა ხობის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

მედიკოსების განცხადებით, დაჭრილს შესაბამისი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ბრალდებული ხობის პოლიციის თანამშრომლებმა უკვე დააკავეს და ნივთმტკიცებად დანა ამოიღეს.

ფოთში გალფის სადგური და მარკეტი დააყაჩაღეს



ფოთის შესასვლელთან გუშინ, 29 ივნისს, დილის 5 საათზე, „გალფის“ ბენზინგასამართი სადგური და მარკეტი დააყაჩაღეს. ერთი შეიარაღებული ნიღბიანი პირი სუპერმარკეტში შეიჭრა და იარაღის მუქარით მოლარეს თანხა გამოსძალა.

წაღებულია სიგარეტი და ძვირადღირებული სასმელიც.

ადგილობრივების თქმით, გართულებული კრიმინალური ვითარების გამო ბენზინგასამართ სადგურებს პოლიცია იცავს. მათივე ინფორმაციით, სამართალდამცველები სულ რამდენიმე წუთის გასული იყვნენ ადგილიდან, როდესაც ერთი შეიარაღებული კაცი მარკეტში შეიჭრა.

მაღაზიიდან გამოსულმა ბენზინგასამართი სადგურის ორ თანამშრომელს იარაღის მუქარით თანხა წაართვა და მიიმალა.

მომხდარზე გამოძიება დაწყებულია.

რუსთავში კრაისლერი ჯერ გაზის მილს შეეჯახა, შემდეგ — მერსედესს

რუსთავში, მოდებაძისა და აღმაშენებლის ქუჩების კვეთაზე, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, „კრაისლერის“ მარკის ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა, ჯერ – ბეტონის ფილას, შემდეგ – გაზის მილს, საბოლოოდ კი მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩერებულ „მერსედესის“ მარკის ავტომობილს შეეჯახა.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ბუნებრივი აირის მილის დაზიანებას მოსახლეობისთვის გაზმომარაგების შეწყვეტა არ გამოუწვევია.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო და კრიმინალური პოლიციის, სასწრაფო-სამედიცინო დახმარებისა და სახანძრო-სამაშველო სამსახურის ეკიპაჟები. ტერიტორიაზე მუშაობდნენ კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზის“ წარმომადგენლები.

გიგი უგულავა: „გავაშელიშვილი სულ რომ ჯურღმულში დაიმალოს, მაინც მოუწევს ამოსვლა“

– შეკითხვაზე, როდის დაესწრება პროცესს, ბადრი გავაშელიშვილმა ჯერ თქვა, რომ დასაფლავებაზეა, შემდეგ თქვა, რომ ცუდად არის. მოკლედ, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ეს მზეთუნახავი არ მოიყვანონ სასამართლოში.

ამის შესახებ პოლიტიკოსმა გიგი უგულავამ თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი პროცესის დასრულების შემდეგ განაცხადა.

უგულავას განმარტებით, საქმეში დაზარალებულად ცნობილმა ბადრი გავაშელიშვილმა განაცხადა, რომ დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა და პროცესზე მხოლოდ დისტანციურად დასწრებას მოახერხებდა, თუმცა უგულავას თქმით, გავაშელიშვილს პროცესზე მოსვლის გარდა სხვა ალტერნატივა არ ექნება და „კახეთში კი არა, სულ რომ ჯურღმულში დაიმალოს, მაინც მოუწევს ამოსვლა და სიმართლის ლაპარაკი“.

– სრულიად ცალსახა და ერთმნიშვნელოვანია, რომ პროკურატურა მალავს გავაშელიშვილს. ჯერ გამოგვიცხადეს, დასავლეთ საქართველოშიაო და როდესაც ჩართეს, აღმოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოში. შეკითხვაზე, როდის დაბრუნდება, ჯერ თქვა, რომ დასაფლავებაზეა, შემდეგ თქვა, რომ ცუდად არის. მოკლედ, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ეს მზეთუნახავი არ მოიყვანონ სასამართლოში, ძალიან სამარცხვინოა, რომ მოსამართლე ამას თითქმის გაჰყვა, ბოლოს უბრალოდ სხვა გზა აღარ ჰქონდა და იძულებული გავხადეთ, ვითომ დაზარალებული გავაშელიშვილი წარდგეს სასამართლოს წინაშე.

ამ კაცს მალავენ იმიტომ, რომ სამარცხვინო რამ აქვს ჩადენილი, ჩვეულებრივი ზონდერია, საზოგადოებამ თუ არ დაინახა ეს ყველაფერი, ისე ეს პროცესი ვერ წარიმართება. დავდივარ სპეციალურად აქ, რომ ეს კაცი მოვიყვანო, დადგეს სასამართლოს წინაშე და კიდევ ერთხელ მოიტყუოს, სხვა ალტერნატივა მას არ ექნება, კახეთში კი არა, სულ რომ ჯურღმულში დაიმალოს, მაინც მოუწევს ამოსვლა და სიმართლის ლაპარაკი, – აღნიშნა გიგი უგულავამ.

ცნობისთვის, შემთხვევა თბილისის აეროპორტში 2019 წლის 11 დეკემბერს მოხდა. გიგი უგულავას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით აქვს წარდგენილი, რაც ძალადობას გულისხმობს. მას ძიუდოისტ ბადრი გავაშელიშვილის ცემას ედავებიან.

პოლიციამ გორში ზურაბ რიკრიკაძის მკვლელობისთვის შალვა გულიაშვილი დააკავა

შიდა ქართლის პოლიციამ გორში ზურაბ რიკრიკაძის მკვლელობის ფაქტზე შალვა გულიაშვილი დააკავა.

მას ბრალად ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ედება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

პოლიციის ცნობით, ბრალდებულმა მიმდინარე წლის 3 ივნისს ქალაქ გორში 1979 წელს დაბადებული ზურაბ რიკრიკაძე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაში მიყვანიდან მალევე გარდაიცვალა.

პოლიციის მიერ ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებულია, სავარაუდოდ, ნარკოტიკული საშუალების შემცველი ფხვნილისებრი ნივთიერება და 5 მოთეთრო აბი.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე და სსკ-ის 260-ე მუხლებით მიმდინარეობს.

– ჩემს შვილს 3 ივნისს მომხდარ მკვლელობაში ბრალი არ მიუძღვის, ის შემთხვევის ადგილზეც კი არ იმყოფებოდა.

ამის შესახებ შალვა გულიაშვილის მამამ, თემურ გულიაშვილმა განაცხადა.

– არც ნარკოტიკი ჰქონდა და არც ბრალი მიუძღვის 3 ივნისს მომხდარ მკვლელობაში. თავის პირად საქმეზე იყო წასული და ფაქტს არც კი შესწრებია. დამნაშავე რომ ყოფილიყო, ქალაქში არ ივლიდა და პოლიცია ფოსტის წინ არ დააკავებდა. ზუსტად ვიცი, წამალიც არ ჰქონდა და დაკავებისას ჩაუდეს, რაც ციხიდან გამოვიდა, ისედაც უთვალთვალებდნენ, რადგანაც ნასამართლევია, ცდილობენ, დანაშაული მას დააბრალონ, – განაცხადა თემურ გულიაშვილმა.

„სამ დღეში თუ არ დაგირეკე, მკვდარი ვიქნებიო“

გლდანის ციხეში პატიმარი შიმშილობს



არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის სავარაუდო ფაქტები გლდანის ციხეში – პენიტენციარული დაწესებულების ადმინისტრაციას პატიმარი ადანაშაულებს.

34 წლის გულადი ჭანტურიას დედა ირწმუნება, რომ მისი მსჯავრდებული შვილი თვეებია, ციხეში ზეწოლისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლია, რის გამოც ჭანტურია, ოჯახის მტკიცებით, მეათე დღეა, შიმშილობს.

– გაუსაძლის მდგომარეობაში ვარ, სამ დღეში თუ არ დაგირეკე, მკვდარი ვიქნებიო. ძალიან დიდი უყურადღებობაა, ზეწოლა მიმდინარეობს პატიმრებზე. რატომ უნდა ჩამიკლან შვილი? უდო ეკუთვნის და უდოთი გამოუშვან, – აცხადებს პატიმრის დედა.

ჭანტურია 5 წელია, სასჯელს გლდანის ციხეში იხდის.

გაუპატიურებაში ბრალდებულს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

სენაკის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი გაუპატიურების ფაქტზე ბრალდებული ლ.კ. დამნაშავედ ცნო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2021 წლის 11 მარტს აბაშის რაიონში ლ.კ.-მ გენდერული ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით, წინასწარი შეცნობით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ა.ჩ. გაუპატიურა.

სამართალდამცველებმა ლ.კ. 11 მარტს დაიკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (გაუპატიურება, ჩადენილი გენდერული ნიშნით, წინასწარი შეცნობით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მიმართ) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

სენაკის რაიონულმა სასამართლომ ლ.კ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 11 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

„სალი ჩხიკვაძეს ფოტოების წაშლა მოვთხოვე, მან კი სექსძალადობა დამაბრალა“

ირანელი ფოტოგრაფი

პროფესიის გამოყენება მოდელებთან სექსუალური კავშირის დასამყარებლად – ცნობილი მოდელი უცხოელ ფოტოგრაფს სექსუალური შევიწროების მცდელობაში ადანაშაულებს. სალი ჩხიკვაძე ამტკიცებს, რომ ჰუმან ზაჰედი მოდელებს სახლში ეპატიჟება, ფოტოებს უღებს, შემდეგ კი სურათების საშუალებით აშანტაჟებს.

„კურიერისთვის“ ცნობილი გახდა, რომ უცხოელ სპეციალისტს პოლიციამ სალი ჩხიკვაძის მიმართვის საფუძველზე 30-დღიანი შემაკავებელი ორდერი გამოუწერა.

21 წლის ფოტოგრაფი ბრალდებებს უარყოფს და „კურიერთან“ ინტერვიუში ირწმუნება, რომ ცუდი განზრახვა არ ჰქონია. ის პოლიციამ უკვე დაკითხა და შემაკავებელი ორდერიც გამოუწერა. ჰუმან ზაჰედს 30 დღის ვადით მოდელთან ყველანაირი კომუნიკაცია აეკრძალა.

– ეს არის სრული სიცრუე. მან გამოაქვეყნა ინსტაგრამზე ფოტოები, რომლებიც მე გადავუღე და არ ახსენა ჩემი სახელი, რაც, თავისთავად, საავტორო უფლებების დარღვევაა. საყვედური ვუთხარი და მოვითხოვე ფოტოების წაშლა, შემდეგ კი გვერდის გაუქმება. პასუხად მივიღე ეს ცრუ ბრალდება, – ამბობს ჰუმან ზაჰედი.

სექსუალური შევიწროების მცდელობაზე „კურიერს“ უყვებიან სხვა მოდელებიც, თუმცა მათ ამ ეტაპზე კამერებთან საუბრისგან თავი შეიკავეს.

საქართველოს სანაპირო დაცვა მრავალეროვნულ საზღვაო სწავლება SEA BREEZE 2021-ში მონაწილეობს

მრავალეროვნული საზღვაო სწავლება SEA BREEZE 2021 ოფიციალურად გაიხსნა. სწავლებაში, ქართული მხრიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები მონაწილეობენ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტი საზღვაო წვრთნებში წელს ორი სადარაჯო ხომალდით ჩაერთვება. ხომალდების „დიოსკურიისა“ და „ოჩამჩირის“ ეკიპაჟების გარდა, SEA BREEZE 2021-ში სანაპირო დაცვის აბორდაჟის ჯგუფებიც მიიღებენ მონაწილეობას.

SEA BREEZE 2021-ის საველე წვრთნებში საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის III ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონი ჩაერთვება. სპეციალური ოპერაციების ძალების მყვინთავთა რაზმი კი ოდესის პორტში საზღვაო მყვინთავთა წვრთნებში მიიღებს მონაწილეობას.

ასევე, SEA BREEZE 2021-ის სწავლების შტაბში შინაგან საქმეთა სამინისტროს სანაპირო დაცვისა და თავდაცვის სამინისტროს 5 ოფიცერი იქნება ჩართული.

აშშ-ის მე-6 ფლოტისა და უკრაინის საზღვაო ძალების ერთობლივი ორგანიზებით, სწავლება SEA BREEZE შავ ზღვაში 28 ივნისიდან 10 ივლისის ჩათვლით გაიმართება. სწავლება საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო კომპონენტებს მოიცავს და მისი მიზანია მონაწილე ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალებს შორს ურთიერთქმედების დახვეწა და, რეგიონული საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათი ერთობლივი შესაძლებლობების გაზრდა. სწავლების ისტორიაში, SEA BREEZE 2021 ყველაზე მასშტაბურია. მასში ექვსი კონტინენტის 32 ქვეყნის 5000-მდე პერსონალი, 32 გემი, 40 საჰაერო ხომალდი და სპეციალური ოპერაციებისა და მყვინთავთა 18 ჯგუფი მონაწილეობს.

მრავალეროვნულ წვრთნებში წელს, საქართველოს გარდა, 31 ქვეყანა მონაწილეობს. ესენია: ავსტრალია, ალბანეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ბრაზილია, ბულგარეთი, გაერთიანებული სამეფო, დანია, ეგვიპტე, ესპანეთი, ესტონეთი, თურქეთი, იაპონია, ისრაელი, იტალია, კანადა, ლატვია, ლიტვა, მაროკო, მოლდოვა, ნორვეგია, პაკისტანი, პოლონეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, სამხრეთ კორეა, საფრანგეთი, სენეგალი, ტუნისი, უკრაინა, შეერთებული შტატები და შვედეთი. სწავლებაში ჩართულია ნატოს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთი (SNMG2).

SEA BREEZE შავ ზღვაში 1997 წლიდან იმართება. ქართული მხარე სწავლებაში პირველივე წლიდან მონაწილეობს. გასულ წელს სწავლებაში სანაპირო დაცვის სადარაჯო ხომალდი „დიოსკურია“ (P25) მონაწილეობდა.

ისრაელის მთავრობამ იერუსალიმში პალესტინელთა მაღაზია დაანგრია

ისრაელმა აღმოსავლეთ იერუსალიმში, სილვანის დასახლებაში, პალესტინელების მაღაზიის დემონტაჟი განახორციელა, რასაც პოლიციასა და პალესტინელ დემონსტრანტებს შორის შეხლა-შემოხლა მოჰყვა.

მაღაზია ერთ-ერთია იმ რამდენიმე სახლსა და მაღაზიას შორის, რომლებსაც ხელისუფლება უკანონოდ აშენებულად მიიჩნევს და მათ ადგილზე პარკის განთავსებას გეგმავს. მუნიციპალიტეტმა პალესტინელებს შენობების დემონტაჟისთვის დრო 28 ივნისამდე მისცა, მოსახლეობა კი აცხადებს, რომ აღნიშნული სახლები და ობიექტები ათობით წელია, მათ ეკუთვნით.

პალესტინელი მედიკოსების ინფორმაციით, სამართალდამცავებთან დაპირისპირების შედეგად 13 ადამიანი დაშავდა.

პოლიცია აცხადებს, რომ ქვების სროლის შედეგად ორი სამართალდამცავი დაშავდა. მათივე თქმით, წესრიგის დარღვევისა და თავდასხმისთვის სამი ადამიანი დააკავეს.

შეგახსენებთ, აღმოსავლეთ იერუსალიმის კიდევ ერთი დასახლების, შეიხ ჯარაჰის ბედი გასულ თვეში ისრაელსა და პალესტინელებს შორის შეიარაღებული კონფლიქტის მიზეზი გახდა.

საბერძნეთში სრულად ვაქცინირებულ პირებს რესტორნებში პირბადის გარეშე შეუშვებენ

საბერძნეთში, სადაც დახურულ სივრცეებში პირბადის გამოყენება სავალდებულოა, სრულად ვაქცინირებულ პირებს რესტორნებში პირბადის გარეშე შესვლის ნებას დართავენ.

ამასთან, 15 ივლისიდან ვაქცინირებული მაყურებელი სპორტულ დაწესებულებებში დაიშვება, თუმცა მათ პირბადე უნდა ატარონ. პირბადე უნდა ატაროს კინოთეატრებსა და თეატრებში შესულმა მაყურებელმაც.

ადამიანებს, რომლებიც სრულად ვაქცინირებული არ არიან, რესტორნებში, თეატრებსა და კინოთეატრებში შესვლის უფლება ექნებათ, თუმცა – კორონავირუსის სწრაფი ტესტის უარყოფითი პასუხის წარდგენის შემთხვევაში.

ამასთან, რესტორნებისა და კაფეების მფლობელებს შეუძლიათ გადაწყვიტონ, სრულად ვაქცინირებული მომხმარებელი მიიღონ და 85%-იანი დატვირთვით იმუშაონ თუ – არავაქცინირებული, რა შემთხვევაშიც მათ 50%-იანი დატვირთვით მუშაობის უფლება ექნებათ.

ამ დროისთვის სრულად ვაქცინირებული საბერძნეთის მოსახლეობის 30.2%-ზე მეტია, 43.1%-ს კი ვაქცინის მინიმუმ 1 დოზა აქვს გაკეთებული.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მზარეულს, რომელიც სამსახურში ფეხით დადიოდა, უცნობებმა სოლიდური თანხა აჩუქეს

ოკლაჰომელმა 20 წლის დონტე ფრანკლინმა, რომელსაც ყოველდღე სამსახურში მისასვლელად 13 კილომეტრის ფეხით გავლა უწევდა, მოულოდნელად უცნობი ადამიანებისგან საჩუქარი მიიღო.

ფრანკლინი რესტორანში მზარეულად მუშაობდა. მას არა თუ ავტომობილის ან მოტოციკლის, ველოსიპედის ყიდვაც კი არ შეეძლო და ამიტომ იძულებული იყო ყოველდღე 26 კილომეტრი მანძილი გაევლო სახლიდან სამსახურამდე და პირიქით. მას სამუშაო საათების დაწყებამდე სახლიდან სამი საათით ადრე გამოსვლა უწევდა.

– როდესაც 16 წლის ვიყავი, დედა გარდამეცვალა. მან მასწავლა ძალიან მნიშვნელოვანი რამ, რომ არასოდეს არ დავნებდე. სწორედ ამიტომ ვაგრძელებდი სამსახურში სიარულს მიუხედავად ყველა სიძნელისა, – განაცხადა ფრანკლინმა.

ივნისის ერთ ცხელ დღეს გზაზე მიმავალმა მაიკლ ლინმა შენიშნა მამაკაცი, რომელიც, მიუხედავად მცხუნვარე მზისა, გზას ფეხით მიუყვებოდა. ის შეჩერდა, ფრანკლინს ადგილზე მიყვანა შესთავაზა.

– იმდენად შემძრა დონტეს ისტორიამ, რომ გადავწყვიტე ის ფეისბუქზე გამომექვეყნებინა, – განაცხადა ლინმა.

გამოქვეყნებული დონტეს ისტორია ბაიკერების საქველმოქმედო ჯგუფის ხელმძღვანელმა კერი კოლინზმა ნახა. ქალმა გადაწყვიტა ფრანკლინს დახმარებოდა და მას ჯგუფის სახელით ველოსიპედი აჩუქა. ასე რომ, ახლა ფრანკლინი სამსახურში ველოსიპედით დადის.

თუმცა მხოლოდ ველოსიპედის ჩუქებით დახმარება არ ამოწურულა. კრაუდფანდინგურ ვებ-გვერდზე გაიხსნა ფულის შეგროვება ფრანკლინისთვის მანქანის შესაძენად. მიმდინარე წლის 23 ივნისის მდგომარეობით, ოკლაჰომელი მზარეულისთვის 49 ათას დოლარზე მეტი იყო შეგროვებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

მაყვალა გონაშვილის ლექსების კრებული ყაზახეთში გამოიცა

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, პოეტ მაყვალა გონაშვილის ლექსების კრებული ყაზახურ ენაზე გამოვიდა.

კულტურის სამინისტროს ეგიდით გაიმართა წიგნის პრეზენტაცია ქალაქ ნურ-სულთანში, სადაც ავტორმა ონლაინ მიიღო მონაწილეობა.

პოეტს კი ყაზახეთის პრეზიდენტმა კასუმ ტოკაევმა გამოუგზავნა მადლიერების დიპლომი ყაზახი კლასიკოსის აბაი კუნანბაევის თარგმანისათვის და ქართულ-ყაზახურ ურთიერთობებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

კატო ჯავახიშვილი ლიტერატურულ პრემია „საბას“ აკრიტიკებს

პოეტი კატო ჯავახიშვილი ლიტერატურულ პრემია „საბას“ აკრიტიკებს:

– როცა პრემია პოლიტიკური პროცესების პოლიგონად გადაიქცევა და ამის მიხედვით ზომავს ლიტერატურას, არახალია, მაგრამ სირცხვილია. აგერ, თეონა დოლენჯაშვილმაც თქვა და ალბათ ეგრეა. ყველამ და მათ შორის ამ პრემიის სათავეში მყოფებმაც გადასარევად იციან, ვინ რას წერს, როგორ. არც ანდრეიკა დაიკარგება, არც ბექა ქურხული და არც ნინია და თეონა და კიდევ ბევრი, ვინც დამაკლდა, მაგრამ, სირცხვილს რომ თავი დავანებოთ, ალოგიკურია, რა.

აბა, მე სულ ცალ ფეხზე მკიდია, ვინ ნაციონალია და ვინ ქოციონალი და კიდევ იმის იქით, ვინ ვისთან ჭამს პურს და დღეობებზე დადის და ვინ – არა. ლიტერატურა ბამბანერკა არ არის, ჩემს მეგობრებს კი წარმატება. კიდევ კარგი, რამდენიმე ნეიტრალური ხანდახან მაინც ახერხებს ამ მოჯადოებული წრის გარღვევას.



მარიკა სამანიშვილს ქუთაისში რეზო გაბრიაძის სახელობის პარკის გახსნა სურს

ქუთაისის თეატრის მსახიობ მარიკა სამანიშვილს სურს, რეზო გაბრიაძის მშობლიურ ქუთაისში მისი სახელობის პარკი გაიხსნას.

ინიციატივას საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა, თუმცა უცნობია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ქუთაისის ადგილობრივი ხელმძღვანელობა.

ეკო ფანგანი: „ერთხელ ცხოვრობთ და იცხოვრეთ თქვენი ცხოვრებით“

ტელეწამყვანი ეკო ფანგანი ჭორიკნებს სასარგებლო რჩევას აძლევს და ენის ჭარტალში სხვა ადამიანების ჩათრევას არ ურჩევს:

– რაც უფრო დაბალია ადამიანის ინტელექტი, მით უფრო გრძელი აქვს ენა, მით უფრო ჩამჯდარია სხვის ცხოვრებაში, მით უფრო დამახინჯებულად მიაქვს-მოაქვს ენები, მით უფრო ჭორიკანაა და შემდეგ თავის დათესილ ჭორებს სხვას აბრალებს.

ხალხო, ერთხელ ცხოვრობთ და იცხოვრეთ თქვენი ცხოვრებით, იბედნიერეთ ყოველი დღით, მორჩით და გეყოფათ ქექვა და სხვა ადამიანების ჩათრევა თქვენივე ენის ჭარტალში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

საფრანგეთი ევროპას დაემშვიდობა

საფრანგეთი-შვეიცარია 3:3 (4:53)

გუძარესტი. არენა ნაციონალა

0:1 სეფეროვიჩი (15), 1:1, 2:1 ბენზემა (57, 59), 3:1 პოგბა (75), 3:2 სეფეროვიჩი (81), 3:3 გავრანოვიჩი (90)

55-ე წუთზე როდრიგესმა ვერ გამოიყენა პენალტი

პენალტების სერია: 0:1 გავრანოვიჩი, 1:1 პოგბა, 1:2 შერი, 2:2 ჟირუ, 2:3 აკანჯი, 3:3 ტურამი, 3:4 ვარგასი, 4:4 კიმპემბე, 4:5 მეჰმედი, 4:5 მბაპე (მეკარე)

საფრანგეთი: ლორისი, ვარანი, ლენგლე (კომანი 46, ტურამი 111), კიმპემბე, პავარი, პოგბა, კანტე, რაბიო, გრიზმანი (სისოკო 88), მბაპე, ბენზემა (ჟირუ 94)

შვეიცარია: ზომერი, ელვედი, აკანჯი, როდრიგესი (მეჰმედი 87), ვიდმერი (მბაბუ 73), ფროილერი, ჯაკა, ცუბერი (ფასნახტი 79), შაჩირი (გავრანოვიჩი 73), ემბოლო (ვარგასი 79), სეფეროვიჩი (შერი 97)

წინა ევროპის ჩემპიონს ფინალისტიც მიჰყვა. ერთ-ერთი ყველაზე დრამატული მატჩი გაიმართა ევრო 2020-ზე. არა მარტო დრამატული – სენსაციურიც. შვეიცარიამ უმთავრესი ფავორიტი საფრანგეთის ნაკრები პენალტების სერიაში დაამარცხა.

პირველი ტაიმი ძალიან მოსაწყენ ბრძოლაში გაილია, მაგრამ შვეიცარიელებმა მაინც მოახერხეს გოლის გატანა.

შესვენების შემდეგ ჩამორჩენილი საფრანგეთი უკეთ ათამაშდა, მაგრამ ცოტა დააკლდა, მე-2 გოლი გაეშვა, მაგრამ როდრიგესმა პენალტი ვერ გაიტანა. თითქოს ამას ელოდაო და 4 წუთში უკვე დიდიე დეშამის გუნდი იგებდა. ბენზემამ დუბლი შეასრულა.

ფრანგებმა გააგრძელეს ზეწოლა მეტოქეზე და მალე მესამეც გაიტანეს. თითქოს საქმე უკვე მოთავებული იყო, მაგრამ...

ჯერ სეფეროვიჩმა, შემდეგ კი გავრანოვიჩმა წონასწორობა მალევე აღადგინეს და თამაში დამატებით დროში გადაიყვანეს.

ნახევარ საათში ორივე გუნდს ჰქონდა მომენტები და შეეძლოთ, მატჩის ბედი იქ გადაეწყვიტათ, მაგრამ ბურთის გატანა ვერ მოახერხეს და საქმე პენალტებამდე მივიდა.

ყველამ შეაგდო, მბაპეს გარდა – ფრანგთა ვარსკვლავმა ბოლო პენალტი გააცუდა და საფრანგეთი ტურნირს დაემშვიდობა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ჰარის სეფეროვიჩი

შვეიცარიელი ძალიან იოლად ჩაგრავდა საჰაერო დუელების დროს ფრანგთა ვარსკვლავურ დაცვას. 2 გოლიც გაიტანა...

ხორვატია-ესპანეთი 3:5 (დდ)

კოპენჰაგენი. პარკენი

1:0 პედრი (20სკ), 1:1 სარაბია (38), 1:2 ასპილიკუეტა (57), 1:3 ფ.ტორესი (77), 2:3 ორშიჩი (85), 3:3 პაშალიჩი (90), 3:4 მორატა (100), 3:5 ოიარსაბალი (103)

ხორვატია: ლივაკოვიჩი, იურანოვიჩი (ბრეკალო 74), ვიდა, ჩალეტა-ცარი, გვარდიოლი, ბროზოვიჩი, მოდრიჩი (ივანუშეცი 114), კოვაჩიჩი (ბუდიმირი 79), ვლაშიჩი (პაშალიჩი 79), რებიჩი (ორშიჩი 67), პეტკოვიჩი (კრამარიჩი 46)

ესპანეთი: სიმონი, ასპილიკუეტა, ე.გარსია (პ.ტორესი 71), ლაპორტი, გაია (ალბა 77), კოკე (რუსი 77), ბუსკეტსი (როდრი 101), პედრი, ფ.ტორესი (ოიარსაბალი 88), სარაბია (ოლმო 71), მორატა

მხიარული დღე გამოდგა ევროპის ჩემპიონატზე. გულშემატკივრები ორივე გუნდმა გაახარა, მაგრამ ერთ-ერთ მათგანს ევროპის ჩემპიონატი უნდა დაეტოვებინა და ეს ხორვატია აღმოჩნდა.

მხიარულებასთან ერთად, იყო კურიოზებიც, ბრძოლაც, გმირობაც...

ესპანეთმა დასაწყისიდანვე შეუტია და რამდენიმე კარგი მომენტიც გაანიავა, მაგრამ უფრო ჩაკეტილი თამაში იყო და გოლს უნდა გაეხსნა. გოლი კი კურიოზული გამოდგა – პედრიმ 44.8 მეტრიდან ძლიერად დაუბრუნა ბურთი მეკარეს, რომელმაც ვერ გააჩერა და ხორვატიამ ანგარიში გახსნა.

პირნეველები აზრზე მალე მოვიდნენ და სარაბიამ ანგარიში გაათანაბრა. შესვენების შემდეგ ასპილიკუეტამ და ფერან ტორესმა ესპანელებს სოლიდური უპირატესობა მოუპოვეს.

ხორვატია რომ მებრძოლი გუნდია, ამ მატჩშიც დაამტკიცეს და ბოლო 5 წუთში ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს – ჯერ ორშიჩმა, შემდეგ კი პალაშიჩმა დაამწუხრეს უნაი სიმონი.

თამაში დამატებით დროში გადავიდა და ხორვატებს წინ გასვლაც შეეძლოთ, მაგრამ ვერ გაიტანეს და დაისაჯნენ: მორატამ და ოიარსაბალმა 3 წუთში გადაწყვიტეს მატჩის ბედი.

ხორვატებმა ველარ მოახერხეს მატჩის შემობრუნება და ტურნირს დაემშვიდობნენ.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – დანი ოლმო

უეფამ საუკეთესოდ ბუსკეტსი დაასახელა, ჩვენ კი ოლმო გამოვარჩიეთ. შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელმა დამატებით დროში გადაწყვიტა მატჩის ბედი, როდესაც 2 საგოლე პასი გააკეთა.

უმცროსი ბორჯღალოსნები სამხრეთ აფრიკასთან დიდი ანგარიშით დამარცხდნენ

სტელენბოშში მიმდინარე 20-წლამდელთა საერთაშორისო სერიის მესამე მატჩში საქართველოს მორაგბეთა ნაკრები სამხრეთ აფრიკას გაეჯიბრა. მასპინძლები სრულად დომინირებდნენ მოედანზე, 6 უპასუხო ღელო გაიტანეს, ამასთან, ყველა გარდასახეს და 42:0 იმარჯვეს.

პირველი ტაიმი მეტ-ნაკლებად თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, მაგრამ უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ საკუთარი შესაძლებლობები ვერ გამოიყენეს, მეტოქემ კი 2 ღელოს გატანა მოახერხა.

ანგარიშის გახსნა მე-8 წუთზე ვაჟა მიქაძეს შეეძლო, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან ჯარიმა ძელს გაარტყა. 20 წუთის შემდეგ მეტოქემ ჩვენი შეცდომებისა და ფეხით კარგად თამაშის ხარჯზე შეძლო ჩვენს ნახევარზე გადმოსვლა, 26-ე წუთზე შეტევა მოკლე ფრთაზე გააგრძელა, ხაზი გაიჭრა და შეხვედრის პირველი ღელო გავიდა.

31-ე წუთზე უმცროსმა ბორჯღალოსნებმა მეტოქის 22-ში მოლით დაახლოებით 15 მეტრი იარეს და სინბინის შემდეგ მეტოქე მოედანზე კაცნაკლული დარჩა, მაგრამ 5-მეტრიან შერკინებაში დავჯარიმდით და კვლავ უკანდახევა მოგვიწია. ტაიმის ბოლოს მასპინძლებს ჯარიმა გაუცუდდათ, მაგრამ ჩვენს 22-ში დარჩა, მოკლე დარტყმებით შეგვიტია და მეორე ღელო გაიტანა – 0:14.

შესვენებისას მეტოქემ ცვლილებებს მიმართა, ტემპს უმატა და სრულ უპირატესობას დაეუფლა. მართალია, მათ კიდევ ერთი ჯარიმა გაუცუდდათ, მაგრამ ერთი წუთის ინტერვალში სინბინით ლაშა ციხისთავი და ნიკა სუთიძე დავკარგეთ და მოედანზე 13 კაცის ამარა დავრჩით. „ჯუნიორ ბოკემ“ 5-მეტრიანი შერკინებიდან ერთი ღელო იქვე გაიტანა, 61-ე წუთზე კი ხაზი გაიჭრა და მეოთხე ღელო მივიღეთ.

დასკვნით 10 წუთში ერთი ღელო ფეხით ცუდად მოგერიების შემდეგ კონტრშეტევით გავუშვით, ხოლო მეორე – ჯარიმის სწრაფად გათამაშების შედეგად და მასპინძლებმა ტურნირზე ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმეს.

ჯგუფური ეტაპის დასკვნით მატჩში არგენტინამ ურუგვაის 35:12 მოუგო. 3 ივლისს სამხრეთ აფრიკა ფინალში – არგენტინას, უმცროსი „ბორჯღალოსნები“ კი მე-3 ადგილისთვის ურუგვაის შეხვდება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მელიების ოცნებებიც ხდება

გასულ სეზონში ლესტერმა ისტორიაში პირველად ასოციაციის თასი მოიგო. 4 წაგებული ფინალის შემდეგ ჩელსის 1:0 სძლია.

მატჩამდე 2 საათით ადრე „უემბლისთან“ მხოლოდ ლესტერის გულშემატკივრები ჩანდნენ. „მელიების“ ქომაგები ავტობუსებით ორგანიზებულად ჩავიდნენ და დრო ადგილობრივ პაბებსა და კაფეებში გაჰყავდათ. შემდეგ სუპერმარკეტის რიგში 15-20 წუთით ჩადგომა მოუწიათ, ბევრი ლუდიც იყიდეს და მატჩამდე ისიამოვნეს.

საცოდაობა იქნებოდა, ეს ფინალი ლესტერს რომ არ მოეგო. ჩელსი ჩემპიონთა ლიგის ფინალში იყო (შემდეგ მოიგო კიდეც), ლესტერი ჩემპიონატის ტოპ 4-ში ვერ მოხვდა და მათთვის სეზონის მთავარი თამაში „უემბლიზე“ იყო.

გულშემატკივრები ამბობდნენ:

– 5 წლის წინ ჩემპიონატი მოვიგეთ, მაგრამ ეს უფრო ემოციური დღეა.

ამ გუნდისა და ასოციაციის თასის ისტორია ტკივილითა და იმედგაცრუებებითაა სავსე. „მელიები“ ფინალში 4-ჯერ გავიდა და 4-ჯერ წააგო.

ლესტერისთვის ყველა დროის ყველაზე დიდმა ფეხბურთელმა გარი ლინეკერმა მატჩის წინ თქვა:

– 1969 წელს მე და მამაჩემი „უემბლიზე“ ვიყავით. მახსოვს, ამ წელს ამერიკელებმა ფეხი მთვარეზე დადგეს, მაგრამ ჩემთვის მთავარი ფინალი იყო. ლონდონში პირველად ვიყავი. მოლოდინი ამ ფაქტმა უფრო გაამძაფრა. სიტისთან 0:1 წავაგეთ. როდესაც სახლში მატარებლით ვბრუნდებოდით, ვტიროდი. მამაჩემმა დამამშვიდა – ნუ დარდობ, ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით და მოვიგებთო.

დაბრუნების დრო კი 52 წლის შემდეგ დადგა. ამ ნანატრი თასის გარდა, ლესტერმა ყველაფერი მოიგო და მწვრთნელებსაც საყვედურობდნენ, რომ ამ ტურნირს სერიოზულად არ იღებდნენ: კლოდ პიუელს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა, რადგან ამ თასზე ყოველთვის მე-2 შემადგენლობას ათამაშებდა. ბრენდან როჯერსმა ცადა, შეცდომები აღარ დაეშვა და სეზონის განმავლობაში მუდმივად იმეორებდა:

– მე ვიცი, ასოციაციის თასი გულშემატკივრებისთვის რას ნიშნავს და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ის მოვიგოთ.

მატჩის დღეს ქომაგები სოციალურ ქსელებში ოჯახური მოგონებებით ცხოვრობდნენ. ჯეიმს შარპი, ლესტერის გულშემატკივარი:

– ბაბუაჩემი 1961 წლის ფინალში იყო, როცა ჩვენმა გუნდმა წააგო. ის ლოცულობდა, რომ მსგავსი გრძნობა აღარასდროს გამოეცადა, მაგრამ ის 1963 და 1969 წლების ფინალებზეც იყო. არ უნახავს, პრემიერლიგა როგორ მოვიგეთ. დღეს ჩვენ მათ მაგივრადაც გავიხარებთ, ვინც ცოცხლები აღარ არიან!

რთულად გასაგებია, მნიშვნელობით მე-2 ინგლისური ჯილდო გულშემატკივრებისთვის უფრო მნიშვნელოვანი რატომ იყო, ვიდრე ინგლისში სენსაციურად გაჩემპიონება. ჯეიმსმა ყველას აზრი გაახმოვანა:

– ვერავინ წარმოიდგენდა, რომ პრემიერლიგას მოვიგებდით. ასოციაციის თასი ოცნება იყო, რომელზეც ლესტერის ყველა გულშემატკივარი ფიქრობდა!

გულშემატკივარი ტრიბუნაზე მატჩამდე ერთი საათით ადრე შეიკრიბა. ჯიხურებიდან ყავასა და ლუდს ასხამდნენ, რომლის ნახევარიც ძირს იღვრებოდა. აქ გრძელი სიმღერები იყო, რომლებსაც პანდემიამდელი ფეხბურთის ნოსტალგია მოჰქონდა. ვინც მატჩზე მივიდა, კოვიდზე ყველას უარყოფითი პასუხი ჰქონდა. ამიტომ სოციალურ დისტანციასა და ნიღბებს ყურადღებას არავინ აქცევდა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ გულშემატკივრები ტრიბუნაზე ისხდნენ. როდესაც გასახდელიდან ლესტერი გავიდა, შმეიხელმა ქომაგებს ტაში დაუკრა, რომელსაც ათასობით ფანმა მქუხარე ოვაცია მოაყოლა. მცირე დეტალებმა ზოგიერთი ფეხბურთელი ცრემლებამდე მიიყვანა. მატჩის დაწყებამდე ისინი ტრიბუნაზე თვალებით ოჯახის წევრებს ეძებდნენ. როდესაც ხედავდნენ, ბავშვებივით უხაროდათ და ხელს უქნევდნენ. როდესაც ჩელსის შემადგენლობაში ყოფილი ლესტერელების, კანტესა და ჩილველის გვარები გამოაცხადეს, ლესტერის გულშემატკივრებმა ტაში დაუკრეს.

შემდეგი 90 წუთი მინდორზე ზუსტად ისეთი იყო, რაც თასის ფინალში უნდა ყოფილიყო. ლესტერი ნერვიულობდა, ჩელსიმ მომენტები გაანიავა, წვიმაც დაიწყო და შემდეგი იური ტილემანის ჯადოსნური გოლი იყო. ნახევარი „უემბლი“ ყვიროდა. მათ შორის, გარი ლინეკერიც, რომელიც სტუდიაში შეურაცხადი შევარდა.

შმეიხელის რამდენიმე წარმოუდგენელი სეივი და 89-ე წუთზე ჩილველის გოლი ამ თამაშის კინემატოგრაფიას გადასარევად მოერგო. ყოფილმა ლესტერელმა, რომელმაც წინა დღის ინტერვიუში თქვა, რომ ამ მატჩის მოგებაზე მეტად არაფერი სურდა, ახალი გუნდის ფანებთან მიირბინა და გოლი აღნიშნა. ლესტერის გულშემატკივრებისგან კი სტვენა და გინება მიიღო.

ლესტერის ფეხბურთელები ძირს დაემხნენ, მაგრამ აქამდე ასე მიდღენდსში ვიდეორეფერი არ დაუფასებიათ: გოლი თამაშგარეს გამო გაუქმდა. სტადიონის ნახევარმა იმაზე მეტად იხმაურა, ვიდრე თავისი გუნდის გოლის დროს, თავად ბრენდან როჯერსი კი თავისი ფეხბურთელებისთვის ხმის გაგონებას ცდილობდა. იშვიათად თუ ნახავთ მწვრთნელს, რომელიც ასეთ ნერვულ მატჩშიც კი ლამის თითოეულ ფეხბურთელს მექანიკურად მართავდა, ყოველ 5 წუთში რომელიმეს თითებით უხსნიდა ტაქტიკასა და მოქმედების მიმართულებებს.

საფინალო შტურმი ჩელსის არ გამოუვიდა: 96-ე წუთზე კი მსაჯმა თამაში დაასრულა. მოთამაშეები გაზონზე განერთხნენ, როჯერსი თავის შტაბს ეხუტებოდა, ათასობით გულშემატკივარი ტიროდა. ბევრი მნიშვნელოვანი თამაში ყოფილა ემოციურად ზიგზაგისებური, თუმცა ეს ფინალი, ალბათ, ყველაზე ემოციურად დამამახსოვრდება: ტკივილისა და იმედგაცრუების 70 წელი (პირველი წაგებული ფინალის შემდეგ) როგორღაც დასრულდა.

შემდეგ აღნიშვნა მიკრომომენტებად გაგრძელდა. ლესტერის ფეხბურთელები ერთმანეთს ეხვეოდნენ, შემდეგ ტრიბუნებისკენ დაიძრნენ. რთული ლოკდაუნის შემდეგ „მელიების“ ფანები, რომლებსაც საყვარელი გუნდი 2020 წლის მარტის შემდეგ არ ენახათ, ვერ წყვეტდნენ ყვირილს, აპლოდისმენტებსა და ტირილს.

ფეხბურთელები ახლობლებს ტრიბუნებზე ეძებდნენ, როჯერსი ენდი კინგს ესალმებოდა, შმეიხელმა კი ბიბისისთან ინტერვიუში თქვა, რომ „უემბლიზე“ შვილები დააკლდა (უსაფრთხოების გამო სტადიონზე მხოლოდ ზრდასრულები დაუშვეს).

საუკეთესო მომენტი კი ერთობლივი აღნიშვნა იყო: ფეხბურთელები შეიკრიბნენ, საცეკვაოდ ემზადებოდნენ, მხოლოდ ჯეიმი ვარდი აკლდათ, რომელიც ინტერვიუზე გავიდა. კასპერმა ვერ მოითმინა, ფორვარდთან მირბინა და ეთერიდან, პირდაპირი მნიშვნელობით, მოიპარა. ლესტერში არც ერთი წვეულება არ იმართება ვარდის გარეშე, თან, ჯეიმიმ, დიდი ალბათობით, დაუძლეველი რეკორდი დაამყარა – კარიერის განმავლობაში ინგლისის თასის ყველა, 13-ვე რაუნდში ითამაშა.

კლუბის ლეგენდები, 2015-16 წლების ინგლისის პრემიერლიგის ჩემპიონები, განსაკუთრებულად აღნიშნავდნენ. სანამ ახალგაზრდები ირგვლივ ტრიალებდნენ, შმეიხელი, ვარდი, მორგანი, ოლბრაიტონი და განაცხადში ვერმოხვედრილი ფუქსი მოედნის გარშემო დადიოდნენ და თასს ერთმანეთს გადასცემდნენ.

წერტილი მოედანზე გამოსულმა კლუბის მფლობელმა, ტაილანდელმა აივატ სრივადჰანაპრაბჰამ დასვა, რომელსაც გუნდში, უბრალოდ, „ტოპს“ ეძახიან, ძნელი გასაგები არ უნდა იყოს, რატომაც. 2018 წელს ავიაკატასტროფაში დაღუპული მამის ადგილის დაკავების შემდეგ ფეხბურთელებსა და მწვრთნელებთან ისეთი თბილი ურთიერთობა ჩამოაყალიბა, პრემიერლიგის ნებისმიერ კლუბს შეშურდება. „ტოპმა“ ყველა ფეხბურთელი გადაკოცნა, ჩაეხუტა, განსაკუთრებით ემოციურად კი როჯერსს მიულოცა, შემდეგ მოედანს წრე დაარტყა, ლესტერის გულშემატკივრებთან მივიდა და მათი ოვაციებიც დაიმსახურა.

ბევრმა ლესტერელმა გამარჯვება გარდაცვლილ ვიჩაი სრივადჰანაპრაბჰას მიუძღვნა. „უემბლის“ ერთ-ერთ ტრიბუნაზე მთელი მატჩის განმავლობაში იყო ყოფილი მფლობელის გამოსახულებით გამოფენილი ბანერი, რომელზეც ვიჩაის სიტყვები ეწერა:

– ჩვენი ოცნებები შეიძლება რეალობად იქცეს, თუკი მათთვის საბრძოლველად სიმამაცე გვეყოფა.

ლესტერი იდეალური გუნდი არ არის, მაგრამ ბოლო 5 წელიწადში მომხდარი ამბები ამტკიცებს, რომ მათი ოცნებები ერთიმეორის მიყოლებით სრულდება...

შედეგები

28 ივნისი
ფეხბურთი

ევჩო 2020

ესპანეთი-ხორვატია ..... 5:3(დდ)
საფრანგეთი-შვეიცარია ..... 3:3(4:5პ)

ჯოპა ამერიკა

ბოლივია-არგენტინა 1:4
ურუგვაი-პარაგვაი 1:0

ჩოგბურთი
უიმბლდონი

ჯაცები

ჯოკოვიჩი-დრაპერი 4:6,6:1,6:2,6:2
ციციპასი-ტიაფო 4:6,4:6,3:6
სეპი-სოზა 4:6,6:4,7:5,6:2
ბაგნისი-კეჩმანოვიჩი 4:6,6:3,3:6,6:7
ვესელი-ჰანფმანი 6:1,7:5,7:6
კუდლა-ფოკინა 5:7,4:6,7:6,6:3,6:3
ბარიოს ვერა-ანდერსონი 7:6,4:6,4:6,6:7
მილმანი-ბაუტისტა აგუტი 2:6,6:3,3:6,6:7
ფუჩოვიჩი-სინერი 5:7,6:3,7:5,6:3
დელბონისი-რუბლიოვი 6:4,4:6,1:6,2:6
მაკდონალდი-ხაჩანოვი 6:3,3:6,4:6,6:7
ოპელკა-კეპფერი 4:6,6:7,2:6
მარტინესი-ტრავალია . 6:3,2:6,6:4,6:4
მარი-ბასილაშვილი 6:4,6:3,5:7,6:3
ბაენა-პოსპიშილი 3:6,3:6,3:6
ჩეკინატო-ბროუდი 3:6,4:6,0:6

ქალები

ნიკულესკუ-სობოლენკო 1:6,4:6
ბერეიჯი-დევისი 2:6,1:6
სვონი-კიზი 3:6,4:6
ფერო-მუგურუზა 0:6,1:6
ალექსანდროვა-ზიგემუნდი 6:1,6:3
ჰერცოგი-კოლინზი 6:4,3:6,2:6
კუდერმეტოვა-გოლუბიჩი 6:3,1:6,9:11
ლაო-ბუტლერი 7:6,3:6,4:6
სტივენსი-კვიტოვა 6:3,6:4
სერანო-კალინსკაია 1:6,6:0,6:4
კუზნეცოვა-კერკჰოვე 3:6,3:6
ვანი-კენინი 4:6,2:6
შვინტეკი-სე 6:4,6:4
ბეგუ-ვოლინეცი 6:4,7:5
ანი-უოტსონი 2:6,7:6,8:6
მლადენოვიჩი-რიბაკინა 4:6,0:6

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ბასილაშვილი უიმბლდონზე დამარცხდა

უიმბლდონის ტურნირი ნიკოლოზ ბასილაშვილისთვის დაიწყო და დამთავრდა. ქართველს პირველივე წრეში მეტოქედ ბრიტანელი ენდი მარი ერგო, რომელიც ერთადერთია, ვინც დიდ სამეულში (ფედერერი, ნადალი, ჯოკოვიჩი) ჩაერია და ხმაურიანად. თუმცა ტრავმამ არ მისცა საშუალება, ბოლომდე მათ გვერდით დამდგარიყო.

ტრავმის კვალი მარის ბასილაშვილთან მატჩშიც ეტყობოდა, თითქოს დაიღალა კიდეც, მაგრამ მაინც მოიგო – 6:4; 6:3; 5:7; 6:3.

შეხვედრა თავიდან თანაბარი ორთაბრძოლით გაჩაღდა, პირველ და მეორე სეტში მარიმ თითო ბრეიკ პოინტი გამოიყენა, ორივეჯერ მიწურულში, რაც საკმარისი აღმოჩნდა, 2:0 დაწინაურებულიყო.

აი, მე-3 სეტი იყო სრული სიგიჟე. დასაწყისში ბასილაშვილი საკუთარ თავს არ ჰგავდა, შოტლანდიელს კი ყველაფერი გამოსდიოდა და 5:0 დაწინაურდა.

მარი მატჩზე აწვდიდა და დაიწყო – ბასილაშვილი აბობოქრდა, ფაქტობრივად, შეუძლებელი შეძლო და ზედიზედ 7 გეიმი მოიგო. ცხადია, სეტიც.

აქ დაეტყო დაღლა მარის და თითქოს ნიკას სრულიად თამაში უნდა შემოებრუნებინა, მაგრამ მოულოდნელად 10-წუთიანი შესვენება გამოცხადდა. ბასილაშვილი თითქოს შესვენებაზე დარჩა, დასაწყისშივე ორჯერ წააგო საკუთარი მოწოდება, მართალია, ერთი იქვე დაიბრუნა, მაგრამ ბოლოს ძალები არ ეყო, კიდევ ერთი გეიმიც აჩუქა მეტოქეს და 3:6 წააგო.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 2. საინფორმაციო საშუალება; 3. ლითონის ბაგირი გემზე; 5. გერმანელი მწერალი; 6. სახელმწიფო ევროპაში; 8. ექიმთა თათბირი დაავადების გამოსარკვევად და მკურნალობის მეთოდების დასადგენად; 10. რაიმე მოქმედების აღმძვრელი მიზეზი, ბიძგი; 12. ძვირფასი საწერი კალმების მწარმოებელი ფირმა; 14. იანვრის თვის ქართული სახელწოდება; 15. სამხედრო ფორმის შარვალი; 16. მდინარე ოზურგეთში.

თარაზულად: 1. ქართული მულტიპლიკაციის ფუძემდებელი; 4. კოჯრის, ტაბახმელის, წავკისის ძველი საერთო სახელწოდება; 7. პორტუგალიური ღვინო; 9. თურქეთში მცხოვრები ქართული წარმოშობის ხალხი; 11. ისრაელის პარლამენტი; 12. პიროვნული სასჯელი; 13. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 17. საეკლესიო მგალობელთა გუნდი; 18. მოძღვარი, დამრიგებელი ინდოეთში; 19. კბილების ავადმყოფური კრაჭუნი ძილში; 20. გეომეტრიული სხეული.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ნადური; 2. ქაცვი; 3. არიანი; 4. აიმაკი; 6. გულიაში; 9. ბლუზი; 11. ხარფუხი; 15. ლითოსფერო; 16 კუმისი; 17. კულინანი; 19. აბატისა; 21. ადიდასი; 22. რაბათი.

თარაზულად: 5. მაიოლიკა; 7. უნიკუმი; 8. ამლახუ; 10. ალუმინი; 12. კლოპი; 13. უნაბი; 14. ყიზილბაში; 18. კაფია; 20. ჰუმუსი; 23. ფაუსტი; 24. იორი; 25. ბესონი; 26. თორი; 27. ფსირცხა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პაბი; 2. შარჟი; 3. შტირია; 5. აშუღი; 6. ბოლივუდი; 8. ონომასტიკა; 10. ანტრაშა; 12. სანაცია; 14. ლეჩაქი; 15. ტანინი; 16. ონიმა.

თარაზულად: 1. პანეში; 4. დათვები; 7. ვარანი; 9. იგრიკა; 11. ლოსიონი; 12. სტიუარდი; 13. ორბანი; 17. ელეგია; 18. მილი; 19. სიკოფანტი; 20. ბარახასი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

30 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1579

ევრო — 3.7690

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3911

100 რუსული რუბლი — 4.3743

ამინდის პროგნოზი 30 ივნისისათვის



კილიან მბაპემ გულშემატკივარს ბოდიში მოუხადა



პსჟ-სა და საფრანგეთის ნაკრების ფორვარდმა კილიან მბაპემ შვეიცარიასთან გადამწყვეტი პენალტი გააფუჭა, რის შემდეგაც ფრანგები ტურნირს გამოეთიშნენ. მბაპემ ტვიტერის გვერდზე კომენტარი გააკეთა და ყველა გულშემატკივარს ბოდიში მოუხადა. მბაპეს თქმით, მსგავსი რამ ფეხბურთში ყოველთვის შეიძლება მოხდეს:

– ნამდვილად არ მინდოდა, ევროპის ჩემპიონატი ჩემთვის ასე დასრულებულიყო, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება. გულშემატკივარს ბოდიშს ვუხდი და მინდა, რომ მხოლოდ წინ ვიყურო.

ლუკა იოვიჩის შეძენა მილანს სურს

მადრიდის რეალის სერბი ფორვარდი ლუკა იოვიჩი, დიდი ალბათობით, ზაფხულში გუნდს დატოვებს და კარიერას იტალიაში, კერძოდ კი მილანში გააგრძელებს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მილანი მზად არის, იოვიჩის ტრანსფერში 30 მილიონი გადაიხადოს.

იოვიჩი რეალში აინტრახტიდან გადავიდა და მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ ლუკამ ვერ შეძლო მასზე გაცემული ავანსების გამართლება.

ბაიერნი კომანის გაყიდვას არ აპირებს

მიუნხენის ბაიერნი თავისი ერთ-ერთი ლიდერის კინგსლი კომანის გაყიდვას არ აპირებს. კომანის შეძენით ლივერპული იყო დაინტერესებული, მაგრამ ბაიერნმა ფრანგი ფეხბურთელი 100 მილიონად შეაფასა, რაც ძალიან დიდი თანხაა. ლივერპული, დიდი ალბათობით, ამ თანხის გადახდას ვერ შეძლებს, ამიტომ კომანი ბაიერნში დარჩება.

კომანის საფრანგეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატს გამოეთიშა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იაპონელი მყვინთავების მიერ გადარჩენილი ქალი სექსთოჯინა აღმოჩნდა



იაპონიის ქალაქ ხატინოხეს მყვინთავების საავარიო-სამაშველო სამსახურის, სახანძრო რაზმის და პოლიციის თანამშრომლებმა უჩვეულო დაშავებულის გადარჩენის ოპერაციაში მიიღეს მონაწილეობა, რომელიც ნავმისადგომის მახლობლად ტივტივებდა. როდესაც სხეული წყლიდან ამოიტანეს, აღმოჩნდა, რომ ის რეზინის სექს-თოჯინა იყო.

ბლოგერმა ნაცუკი ტანაკამ უჩვეულო სამაშველო ოპერაცია გადაიღო და კადრები მიკრობლოგში განათავსა. გოგონა დარწმუნებული იყო, რომ კრიმინალურ ქრონიკას იღებდა, დაღუპულის წყლიდან ამოყვანას.

– მაგრამ ის გასაბერი თოჯინა აღმოჩნდა. ვიღაცამ შეცდომით ხელისუფლებას შეატყობინა და შემთხვევის ადგილზე მივიდა პოლიცია, სახანძრო, სასწრაფო დახმარება და მყვინთავები, ეს ყველაფერი კი სექს-თოჯინის გადასარჩენად, – დაწერა ბლოგერმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

30 ივნისისათვის

ვერძი – შესაფერისი დროა გარემოს შესაცვლელად და გასართობად. იზრუნეთ საკუთარ თავზე. **კურო** – უსიამოვნებას თავიდან მხოლოდ დაკვირვებულობა და შორსმჭვრეტელობა აგაცილებთ. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **ტყუპები** – გარშემომყოფებს მეტი სითბო აჩუქეთ. გულისხმიერება, დათმობა, მიტევება დღის დევიზია. **კირჩხიბი** – გადაღლილი ხართ. დაისვენეთ. ემოციები მოთოკეთ და მხოლოდ პოზიტიურზე იფიქრეთ. **ლომი** – ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი და კატეგორიული. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – ერიდეთ ხალხმრავლობას. გიჯობთ, განმარტოვდეთ, იკითხოთ წიგნები, უბრალოდ, დაისვენოთ ყოველდღიური ალიაქოთისაგან. **სასწორი** – აფორიაქებული ხართ. საქმიანი პარტნიორის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას უცებ ნუ დათანხმდებით. **ღრიანკალი** – პირადი ცხოვრებით უკმაყოფილო ხართ. დროა, პარტნიორთან ურთიერთობაში კორექტივები შეიტანოთ, ოღონდ ისე, რომ საკუთარი თავი არ დააზარალოთ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერ სფეროში დიდი წინდახედულობა გმართებთ. ერიდეთ კონფლიქტს ხელმძღვანელობასთან. **თხის რქა** – თქვენი ავტორიტეტი საფრთხის ქვეშ არის. კრიტიკას მეტისმეტად მტკივნეულად ნუ მიიღებთ. მშვიდად იყავით. **მერწყული** – საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. მატერიალური მდგომარეობა არც ისე ცუდია, როგორც გგონიათ, თუმცა ფულს იოლად მაინც ნუ გაფლანგავთ. **თევზები** – ირწმუნეთ საკუთარი ძალების. სხვის იმედზე ნუ იქნებით. თქვენი მომხიბვლელობა საოცრად იზრდება.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

პაციენტი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, ხელები მიკანკალებს.

– სვამთ?

– ვსვამდი.

– ეწევით?

– ვეწეოდი.

– რა, თავი დაანებეთ?

– არა, ჯერ მხოლოდ ვაპირებ.

– აი, ხედავთ, ორგანიზმი კი უკვე შეშინებულია.

●●●

თვითმფრინავის ბორტგამცილებელი მგზავრს ეკითხება:

– რაიმეს შეჭამთ?

– და რა არჩევანი მაქვს?

– ჰო ან არა!

●●●

ნუდისტების პლაჟზე მამაკაცი ტრუსიკით დადის. ერთ-ერთი დამსვენებელი შენიშვნას აძლევს:

– აქ ტრუსიკით სიარული არ შეიძლება.

– ეს ტრუსიკი კი არა, ნიღაბია.

– კი მაგრამ, მანდ რა უნდა?

– ჩამომიცურდა!

●●●

ქალი კაცს ეკითხება:

– ციხეში რისთვის იჯექი?

– ცოლის მკვლელობისთვის.

– შესანიშნავია, ანუ უცოლო ხარ.

●●●

სატელევიზო გადაცემაში „ჩვენ ვეძებთ“ ქალი რეკავს და წამყვანს ეუბნება:

– ჩემი ქმარი ხუთი წელია სახლიდანაა წასული, ამ ხნის მანძილზე მისთვის ოთხი ბავშვი გავაჩინე. მივმართავ ჩემს ქმარს, გივი, ნამუსი იქონიე, სახლში დაბრუნდი.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ოჰ, ეს ქალები! ერთი ნაწილი სექსის შემდეგ ეგრევე დაქორწინებას ითხოვს... მეორე – ბრილიანტებს... მესამე – გამეორებას!

– ყველაზე სახიფათო სწორედ ეგ მესამეა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თამაზ ვაშაკიძე: „5.690 დღე ოჯახისა და სამშობლოს გარეშე“

ქორეოგრაფი თამაზ ვაშაკიძე 5.690 დღეა, ოჯახისა და სამშობლოს გარეშეა. იგი წლებია, სამართლიანობის აღდგენასა და თავისი საქმის გადახედვას ითხოვს, თუმცა უშედეგოდ:

– 5.690 დღე ოჯახისა და სამშობლოს გარეშე.

2004 წლიდან საქართველოს ხელმძღვანელობამ ჩამომაცილა ხელოვნებას, როგორც ხელოვანს, შემიწყვიტა სიცოცხლე!

1. პირველი საერთაშორისო საბალეტო ფესტივალი-კონკურსის „ჭაბუკიანი – ბალანჩინის“ ფუნქციონირება, დაარსებული საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ჩემ მიერ საქართველოში შეაჩერეს – დაარსებული 2001 წელს.

2. პირველად საქართველოში თანამედროვე ცეკვის თეატრის „საქართველოს ახალი ბალეტის“ ფუნქციონირება შეაჩერეს – დაარსებული 1993 წელს.

3. ვახტანგ ჭაბუკიანის პრემიის გაცემა აკრძალეს – საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ დაარსებული 2002 წელს.

4. საქართველოს ვახტანგ ჭაბუკიანის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებელი, რომელიც ჩვენ 90-იან წლებში გადავარჩინეთ განადგურებას და 2002 წლის მიწისძვრის შემდეგ ფაქტობრივად შევუნარჩუნეთ საბალეტო ხელოვნება საქართველოს, დღეს ფაქტობრივად საბალეტო სტუდიად გადააქციეს სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებელი, საერთოდ მოშალეს ერთიანი სასწავლო სისტემა და საკუთარი კადრებისაგან დაცალეს.

5. ჩემ მიერ 2002 წელს დაარსებულ „ჭაბუკიანი – ბალანჩინის“ საერთაშორისო ფონდს შეუწყვიტეს ფუნქციონირება.

2005 წლიდან ძებნაში გამომაცხადეს, რომ საერთოდ აეკრძალათ ჩემი მოღვაწეობა საზღვარგარეთ და ეს ყველაფერი დღემდე გრძელდება.

გია მურღულია: „დავაცადოთ ბავშვებს, რომ შეიყვარონ და არა შეიძულონ კარგი ლიტერატურა“

ფილოლოგი გია მურღულია აცხადებს, რომ აუცილებლად უნდა ვადროვოთ ბავშვებს ლიტერატურის შეყვარება:

– იქნებ ვინმემ გაიგონოს:

ლიტერატურის სწავლება სკოლაში უნდა გულისხმობდეს კარგი მკითხველის აღზრდას და არა პატარა ლიტერატურისმცოდნის უიღბლო და უშედეგო „გამოყვანას“.

რატომ უნდა ვისახავდეთ მიზნად ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში საუნივერსიტეტო განათლების ელემენტების ჩამოტანას – ვის სჭირდება ასეთი სიურეალისტური ამოცანების გადაწყვეტა, მით უმეტეს, რომ ვერასდროს წყდება?

ბავშვი სკოლაში ლიტერატურის გაკვეთილებზე უნდა მიდიოდეს ინტელექტუალური და ესთეტიკური სიამოვნების აღსაქმელად და მისაღებად და არა დაუსრულებელი განმარტებებისა და სქემების დასაზუთხად – მხატვრულ ტექსტებს არ სჭირდება არც პროკრუსტეს სარეცელი და არც „საბოლოო ჭეშმარიტებანი“.

ლიტერატურის გაკვეთილი ფიქრისა და განცდის თავისუფლების გაკვეთილია – როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლისთვისაც და არა სტანდარტიზებული იდეების უაპელაციო კულტივირება და ჩანერგვა პედაგოგისა თუ ბავშვის ცნობიერებაში, რისი ძალდატანებითი თავსმოხვევის (ერთადერთობის ნიშნით!) დაუსრულებელ მცდელობასაც ახლა ვხედავთ საქართველოს სკოლებში.

სახელმძღვანელოებში არ უნდა იყოს ამოსახევი ფურცლები, როგორც კარგად არის მინიშნებული შესანიშნავ ფილმში „მკვდარი პოეტების საზოგადოება“. სასწავლო წიგნების შეფასების დღეს დამკვიდრებული „სისტემის“ პირობებში კი შესაძლოა, ისეთი „სახელმძღვანელოები“ შეიქმნას, რომლებშიც ბევრი ფურცელი ამოსახევი იქნება.

ბრმა უნდა იყო, რომ ვერ ხედავდე, რა სავალალო შედეგთან მიგვიყვანა ქართულ სკოლაში ჰუმანიტარული განათლების სფეროში არამართებული „პრინციპების“ დამკვიდრების დაუსრულებელმა და უდღეურმა „ექსპერიმენტებმა“, რომლებსაც ამ საქმისთვის სრულიად შეუფერებელი და კატეგორიულად უინტერესო ადამიანები ატარებენ – ისინი საკუთარი ცნობიერების კლიშეებს ავრცელებენ მხოლოდ.

კარგად დაიმახსოვრეთ, რომ ეგ თქვენი ე.წ. მატრიცები, რომლებითაც ყველას თავი მოაბეზრეთ, ბავშვის მიერ ლიტერატურის აღქმის სიკვდილია – სასკოლო ეტაპზე ის სიამოვნებასა და სიხარულს ეძებს და არა ყალბ „მეცნიერებას“. არც მასწავლებლებს სჭირდებათ ლიტერატურის სწავლების ერთადერთი „სწორი პრინციპის“ ყოველდღიური დამხობა თავზე – სწავლებაც შემოქმედების თავისუფლებაა და ამიტომ.

დავაცადოთ ბავშვებს, რომ შეიყვარონ და არა შეიძულონ კარგი ლიტერატურა – ის ამას იმსახურებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ზაზა ურუშაძის უკანასკნელი ფილმი კინოთეატრებში გამოდის

8 ივლისიდან რეჟისორ ზაზა ურუშაძის უკანასკნელი ფილმი „ანტონი“ საქართველოს კინოთეატრებში გამოდის.

ოსკარზე ნომინირებული „მანდარინების“ რეჟისორის, მსოფლიოში აღიარებული ზაზა ურუშაძის ბოლო ნამუშევარი „ანტონი“ ნამდვილ ამბავზეა დაფუძნებული. მოქმედება გერმანელებით დასახლებულ უკრაინის ერთ-ერთ სოფელში ვითარდება და ორი ბავშვის – კათოლიკე ანტონისა და ებრაელი იაკობის მეგობრობის შესახებ გვიყვება.

ფილმის პრემიერა რეჟისორის გარდაცვალების შემდეგ გაიმართა. ზაზა ურუშაძის ნამუშევარმა დიდი გამოხმაურება მოიპოვა და სხვადასხვა კინოფესტივალზეც იქნა მიწვეული.

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში-შეჯიბრება; 2. ლუთერანული ეკლესია; 3. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 4. სათეატრო ცეკვის ხელოვნება; 6. შებოლილი ძეხვის ერთ-ერთი სახეობა; 9. საქართველოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 11. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. აჭარული ცეკვა; 16. კომპიუტერული თაღლითი; 17. წითელი ფერის მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 19. ბრიტანეთის ნაწილი; 21. ზამბარიანი ხელის სასწორი; 22. აეროპორტი პეკინში.

თარაზულად: 5. ხევსურული ტანსაცმელი; 7. მდინარე ამსტერდამში; 8. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 10. ბეისბოლისტის ერთ-ერთი ამპლუა; 12. უნგრული ღვინო; 13. შაქრის წარმოების ცენტრი საქართველოში; 14. წმინდა ადგილების მოსალოცად მიმავალი მორწმუნე; 18. ზღვის დიდი კიბორჩხალა; 20. ლიხტენშტეინის დედაქალაქი; 23. ლირიკული, სატრფიალო ხასიათის სპარსულ-აზერბაიჯანული სიმღერა; 24. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 25. საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 26. ემილ ზოლას რომანი; 27. მონასტერი დუშეთის რაიონში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა